



საქართველოს სოც.



საზოგადოებრივი

მუშათა და ზღვათა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისიათა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს
საქმეთა მმართველობის განყოფილება

1930 წ. ივნისი 5.

№ 10

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

- 107. სისხლის სამართლის კოდექსის 88 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.
- 108. „შრომის გმირთა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.
- 109. პროფესიონალური წარმოებითი კავშირების წევრთა ქვრივებისათვის და გაყრილი ცოლებისათვის ზოგიერთი შეღავათის მინიჭების შესახებ.
- 110. სისხლის სამართლის კოდექსის 58^ა მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.
- 111. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 143^ა მუხლის დამატების შესახებ.
- 112. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარისათვის ზოგიერთი იმ ფუნქციის დაკისრების შესახებ, რაც შეადგენდა იუსტიციის სახალხო კომისიის გამგებლობის საგანს.
- 113. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამზარებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახალხო კვების დამზარებელი კომიტეტის შესახებ.
- 114. სასაქონლო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ სატყეო წესების დარღვევისა და განზარაბი წინააღმდეგობის საქმეთა განხილვის წესის შესახებ.
- 115. საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის შედგენილობაში შემავალი საარქივო მასალის შესახებ.
- 116. კინოფიკაციის ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება კინოფიკაციის ფონდების შესახებ.
- 117. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.
- 118. „პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის თაობაზე“ გამოცემულ სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
- 119. სათამაშო დებულების 1 მუხლის შეცვლის შესახებ.
- 120. „სარეწავო კოოპერაციის დებულების“ 94 მუხლის გაუქმების შესახებ.

121. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სპორტის ხოვრებელ სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების მე-17 მუხლისათვის მე-4 შენიშვნის დამატების შესახებ.

122. სისხლის სამართლის კოდექსის 20, 28, 29, 34, 35, 54, 55 და სხვა მუხლების შეცვლის შესახებ.

123. სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნისა, 85 მუხლის მე-2 ნაწილისა და 195 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

124. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 32¹ მუხლის დამატების შესახებ.

125. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 454 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

126. სოფლის აღმასრულებელთა შესახებ.

127. სასოფლო საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ დააწესონ და გადახდებიან ადგილობრივი გამოსაღები იმ პირთ, ვისაც სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლება არა აქვთ.

128. „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიების პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

129. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 67 მუხლის შეცვლის შესახებ.

130. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130 მუხლის შეცვლის შესახებ.

131. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

132. სამაზრო საგადასახადო კომისიების დაარსების შესახებ.

133. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის შესახებ.

134. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამზარე კომისიის სამდიოურის ჩატარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

135. „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ 1930 წ. მარტის 16-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

136. „სპირტის სასმელების ვაჭრობის შეზღუდვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის მე-6¹ მუხლის დამატების შესახებ.

137. ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე მოწმობების მიცემის წესის შესახებ.

138. ჯანრომთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული გამომგონებლობის დამზარე ბიუროს დამტკიცების შესახებ.

დებულება ჯანრომთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული გამომგონებლობის დამზარე ბიუროს შესახებ.

139. „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არა-მშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების შეფარდებისათვის.

140. „საქართველოს სსრ ქალაქებში მუშათა საბინაო მშენებლობის წახალისების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 11-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

141. მუშათა გამომგონებლობის საკითხების ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ.

142. გლეხების მიერ ბაზრებში თავიანთი მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შემავიწროებელ გარემოებათა ასაცილებელ ღონისძიების შესახებ.

სანტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

107. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 88 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„არაკეთილსინდისიერი აღძვრა დავისა სასარგებლო წილისეულის საბადოს აღმოჩენის პირველობის შესახებ—
ჯარიმას ხუთას მანეთამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 20.

ტიფლისი—სასახლე.

108. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„შრომის გმირთა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„შრომის გმირთა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-ი, მუხ. 115) მე-5 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა 1. შრომის გმირის პენსიის გამოანგარიშებისათვის საფუძვლად მიიღება მისი სრული საშუალო თვიური სამუშაო ხელფასი, რასაც იგი იღებდა სამი უკანასკნელი საკალენდრო თვის განმავლობაში მისთვის შრომის გმირის წოდების მინიჭებამდე, ან დაქირავებით მუშაობის სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში, ვინცობა იგი აღნიშნული წოდების მინიჭების დროს დაქირავებით აღარ მუშაობდა. ხოლო, უკეთეს შრომის გმირი განაგრძობდა დაქირავებით მუშაობას ამ წოდების მინიჭების შემდეგ და ერთი წლის განმავლობაში იღებდა ისეთ სამუშაო ხელფასს, რაც აღემატება ზემოაღნიშნულ საშუალო თვიურ სამუშაო ხელფასს, პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად მიიღება მისი ახალი სამუშაო ხელფასი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 26

ტფილისი—სასახლე.

109. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

პროფესიონალური წარმოებითი კავშირების წევრთა ქვრივებისათვის და გაუარილი კლდეებისათვის ზოგიერთი შეღავათის მინიჭების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. პროფესიონალური კავშირის წევრის ქვრივს, მათ შორის ისეთს, რომელიც პენსიას არ იღებს, აგრეთვე პროფესიონალური კავშირის წევრის გაყრილ ცოლს, რომელმაც ქორწინებაში გაატარა არა ნაკლებ ექვსი თვისა, მათ შორის ისეთს, რომელიც აღიშნებებს არ იღებს, აქვს ყველა ის შეღავათი, რაც დაკავშირებულია პროფესიონალური კავშირის წევრის წოდებასთან (ბინის და წყლის სასყიდლისა, პურისა და საქონლის მიღებისა და სხვ. სფეროში).

2. წინა მუხლში აღნიშნული შეღავათების უფლება მოისპობა ქვრივისა თუ გაყრილი ცოლის ახალი ქორწინებისათანავე ისეთ პირობებზე, რომელიც პროფესიონალური კავშირის წევრი არ არის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მაგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 26.
ტფილისი—სასახლე.

110. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ზისხლის სამართლის კოდექსის 58²² მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ და თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 18 დადგენილებისა „სახელმწიფო დანაშაულთა“ (კონტრრევოლუციონური და სსრკ-სათვის განსაკუთრებით საშიშ, მმართველობის წესის საწინააღმდეგო, დანაშაულთა დებულების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 72 №-ი, მუხ. 687) 22 მუხლის შეცვლის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 58²² მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 58²². გაკეთება და გასაღება ხელობის სახით ყალბი ლითონის ფულისა, სახელმწიფო სახაზინო ბილეთებისა, სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ბილეთებისა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა, აგრეთვე უცხო ქვეყნის ვალიუტისა გამოიწვიეს

სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას—დახვრეტას, ქონების კონფისკაციით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება დაწეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ორი წლისა მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით. გაკეთება ხელობის სახით ყალბი ჩეკებისა, ფულად ანაბარის და ფასიან ქალაქდების ანაბარის დოკუმენტებისა, აგრეთვე ფულადი აკრედიტივების მოწმობებისა გამოიწვევს.

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით.

გაკეთება ან გასაღება ხელობის სახით საფოსტო გადასახდელის ყალბი ნიშნებისა, საკინიგზო და წყალსავალი ტრანსპორტის ყალბი ბილეთებისა და სხვა სამიმოსვლო და სატვირთო დოკუმენტებისა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-

მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 26.

ტფილისი—სასახლე.

111. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 143² მუხლის დამატების შესახებ.

„მდარე ხარისხის ნაკეთობათა გამოშვებისათვის და სტანდარტების შეუსრულებლობისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ნოემბრის 23-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 9) თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 143² მუხ. შემდეგი შინაარსისა:

„ მუხ. 143². სამრეწველო და სავაჭრო საწარმოდან მდარე ხარისხის ნაკეთობათა მასიური ან სისტემატიური გამოშვება გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე;

სავალდებულო სტანდარტების შეუსრულებლობა თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 26.

ტფილისი—სასახლე.

112. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ ს.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეხათვის ზოგიერთი იმ ფუნქციის დაკისრების შესახებ, რაც შეადგენდა იუსტიციის სახალხო კომისარის გამგებლობის საგანს.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გაუქმებასთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების სათანადოდ გადამუშავებამდე — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახალხო მოსამართლეების არჩევისა, უკან გაწვევისა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანისა, ნოტარიუსებისა და სასამართლოს აღმასრულებლების დანიშვნისა და დათხოვნისა, აგრეთვე სახალხო სასამართლოების უბნების რიცხვისა და ფარგლების განსაზღვრისა და სახელმწიფო სანოტარო კონტორების მოწყობისა და რიცხვის განსაზღვრის ფუნქციები, რაც, სათანადო კანონების თანახმად, დაკისრებული ჰქონდა იუსტიციის სახალხო კომისარს, — მიეკუთვნოს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის ფუნქციებს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1930 წ. თებერვლის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 26.

ტფილისი—სასახლე.

113. დადგენილება ც. ა. ძ. და ს. ძ. ს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 26.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის შესახებ.

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხალხის კვების საქმეში გეგმიანობის შეტანისა და ამავე საქმისათვის საერთო ხელმძღვანელობის აწვევისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება სახალხო კვების დამხმარე კომიტეტი.

2. კომიტეტის მიზანს შეადგენს:

ა) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კვების საქმისათვის სახსრის შექმნას, კერძოდ — ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობას;

ბ) იხმაროს ღონისძიება, რათა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მაქსიმალური ანარიცხები გადაიღოს საზოგადოებრივი კვების საქმისათვის;

გ) თვალყური ადევნოს საქართველოს სსრ-ში საზოგადოებრივი კვების საქმის განვითარებისათვის შემოსული სახსრის სათანადოდ გამოყენებას;

დ) მისცეს დირექტივები სათანადო რესპუბლიკანურ ორგანოებს, რათა მათ სამრეწველო მშენებლობისა და დასასახლებელი ადგილების მშენებლობის გეგმების განხილვისა და დამტკიცების დროს შეიტანონ სახარჯთაღრიცხვო განზრახვულებაში სასაძილოების მოსაწყობად საჭირო ხარჯი და აგრეთვე — მისცეს

ღირეპტივები საზოგადოებრივი კვების გეგმების შემუშავებისა და მუშათა სასაღილოებისა, სამზარეულო-ფაბრიკებისა და სხვა ამგვარი დაწესებულების მშენებლობის განხორციელების შესახებ;

ე) შეიმუშაოს საკითხები, რაც დაკავშირებულია საზოგადოებრივი კვების საქმის რაციონალურად დაყენებასთან, და მისცეს სათანადო რეკომენდაციური ორგანოებს ღირეპტივები ამ საკითხების პრაქტიკულად განხორციელების თაობაზე;

ვ) აწარმოოს პროპაგანდა საზოგადოებრივი კვების იდეის მნიშვნელობის შესახებ, გაავრცელოს ხალხში სამეცნიერო კვების ღონისძიებანი სახალხო კვების სფეროში და რაციონალურად დააყენოს საზოგადოებრივი კვების საქმე;

ზ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საზოგადოებრივ ინიციატივას და თვითმოქმედებას საზოგადოებრივი კვების საქმის მშენებლობაში.

3. დამხმარე კომიტეტში შედიან: თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, „სახალხო კვების“ საპაიო ამხანაგობის წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი შემდეგ ორგანიზაციებისათვის: ა) საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, გ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, დ) ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, ე) საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ვ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ზ) საქართველოს კომუნისტური (ბ) პარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა, თ) საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, ი) საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირის—„ცეკავშირი“-სა, კ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის „სოფლის კავშირი“-სა, ლ) საქართველოს საბინაო კოოპერაციის კავშირისა.

შენიშვნა 1. დამხმარე კომიტეტი აირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარის მოადგილეს.

შენიშვნა 2. კომიტეტი გამოჰყოფს თავისი შედგენილობიდან პრეზიდენტს, ხუთი კაცისაგან შემდგარს, მათ შორის თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და „სახალხო კვების“ საპაიო ამხანაგობის წარმომადგენლისაგან.

4. დამხმარე კომიტეტი მოისმენს პერიოდულად საქართველოს სსრ „სახალხო კვების“ საპაიო ამხანაგობის წარმომადგენლის მოხსენებებს საზოგადოებრივი კვების საქმის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

5. დამხმარე კომიტეტს მომსახურებას უწევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აპარატი.

114. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ. დ ა ს. კ. ს.

სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ საჯერო წესების დარღვევისა და განზრახვი წინახედის საქმეთა განხილვის წესის შესახებ.

სათემო აღმასრულებელი კომიტეტების გაუქმების გამო—„სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ტყის გაჩეხისა და განზრახვი წინახედის საქმეთა ადმინისტრაციული წესით განხილვის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 6-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ. 167) მე-2 მუხლის შესაცვლელად და „სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნისა, 85 მუხლის მე-2 ნაწილისა და 195 მუხლის შეცვლის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 6-ის დადგენილებასთან დაკავშირებით—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ტყეების მტაცებლობისა და განადგურებისაგან დასაცავად გამოცემულ დადგენილებათა დარღვევის თაობაზე აღძრულ საქმეებს, უკეთუ უკანონოდ მონაპოვარის ან ტყის მფურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულება ხუთმეტ მანეთს არ აღემატება (სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილი) და სოფლად განზრახვი წინახედის თაობაზე აღძრულ საქმეებს, უკეთუ მიყენებული ზიანი ხუთმეტ მანეთს არ აღემატება (სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლი), განიხილვენ სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმები მხარეთა დაუბარებლად; ამასთანავე

ა) სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება უნდა იყოს წერილობითი და გამოცხადოს ბრალდებულს;

ბ) შვიდი დღის ვადაზე, დიდიან გადასახდელის დადების თაობაზე გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა ბრალდებულს შეუძლიან თხოვოს სასოფლო საბჭოს პრეზიუმს გადასინჯოს მის შესახებ გამოტანილი დადგენილება ან განასაჩივროს ეს დადგენილება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

გ) საჩივრის შეტანა ან დადგენილების გადასინჯვის თაობაზე თხოვნის შეტანა შეაჩერებს გადასახდელის დადების თაობაზე მიღებული დადგენილების აღსრულებას.

2. ამა დადგენილების გამოცემამდე აღძრული და დაუმთავრებელი საქმეები სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილით და 195 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ გადაეცეს შემდგომი წარმოებისათვის სათანადო სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმებს დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით.

ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა ადმინისტრაციული გადასახდელის დადგენილების

ბის დადგენილების გამოსატანად: სატყეო წესების დარღვევის საქმეებზე—ერთი წელიწადი და წინახედის საქმეებზე—სამი თვე, ამა მუხლში აღნიშნული საქმეებისათვის დაიწყება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
ბელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6
ტფილისი—სასახლე.

115. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ა. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის შედგენილებაში შემავალი საარქივო მასალის შესახებ.

საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის იელისის 1-ის თარიღისა და 47 №-ის დეკრეტის (შინაგან საქ. სახ. კომისარიატის „მოამბე“ 1921 წ. მე-11 №-ი) 1-ლი და მე-4 მუხლებისა და არქივის სამაზრო ბიუროების დებულების 1-ლი მუხლის განსავითარებლად, რომელი დებულებაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის სექტემბრის 1-ის თარიღისა და 62 №-ის დადგენილებით (კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 106)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდში შედის:

ა) საარქივო ფონდები რევოლუციის შემდგომი პერიოდის ლიკვიდირებული და გაუქმებული სახელმწიფო და აგრეთვე კოოპერატიული, სამეცნიერო და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციისა, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებობდა, და საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ ყოფილი მათი წარმომადგენლობისა, სააგენტოს და განყოფილებისა და აგრეთვე ყოველგვარი საქმის წარმოების დამთავრებული ან მოსპობილი ხელნაწერი და სხვა მასალა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე რევოლუციის შემდგომ პერიოდში მოქმედი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოოპერატიული, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციისა, მათ რიცხვში გადაკეთებული დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციისა, და საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ არსებული მათი წარმომადგენლობისა, სააგენტოს და განყოფილებისა.

შენიშვნა. საარქივო ფონდი არის საარქივო მასალის ჯგუფი, რომელშიაც გაერთიანებულია ამა თუ იმ დაწესებულების, ორგანიზაციის ან პირის მოქმედების პროცესში დაგროვილი ყველა საარქივო მასალა.

ბ) საარქივო ფონდები რევოლუციის წინა პერიოდის სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციისა, რომელიც მოქმედებდა ამჟამად საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ ტერიტორიაზე, მათი საუცხოეთო წარმომადგენლობისა, სააგენტოს და განყოფილებისა და აგრეთვე ყველა სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო, სადასახლვეო და სხვა დაწესებულებისა და საწარმოსი, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ იქნენ:

გ) ასეთივე მასალა საქართველოს მენშევიკური მთავრობისა და აგრეთვე კონტრრევოლუციონური ორგანიზაციებისა, რომელნიც ისწრაფოდნენ ხელთ ეგდოთ სახელმწიფო ხელისუფლება ან ხელს უწყობდნენ ასეთ მისწრაფებას;

დ) ასეთივე მასალა ყველა სარწმუნოების რელიგიური კულტის დაწესებულებისა (ეკლესიის, კოსტიფლის, მეჩეთის, სინალოლის, მონასტრის და სხვ.) და სასულიერო სამმართველოს ორგანოებისა, რომელნიც მოქმედებდნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მთელი პერიოდის განმავლობაში ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებამდე.

ე) ხელნაწერი და სხვა წერილობითი და აგრეთვე ნახაზი და ფოტოგრაფიული მასალა (საქმე, დოკუმენტი, ქაღალდის პროექტი, ყოველგვარი ჩანაწერი, მემუარი, პირადი მიწერ-მოწერა, სამეცნიერო და ლიტერატურული ნაშრომისა და გამოკვლევის ორიგინალი ან ასლი, ფოტოგრაფიული სურათი, ნახატი და სხვ.), რაც უშუალოდ შეეხება რეაქციის, საქართველოს მენშევიკური მთავრობის და კონტრრევოლუციის აქტიურ მოღვაწეთა ოფიციალურ მოქმედებას და კერძო ცხოვრებას და რაც ამა თუ იმ მიზეზით გადაიცა სახელმწიფო დაწესებულებისა და თანამდებობის პირის გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ვ) 1917 წლიდან დაწყებული საზღვარგარეთ ემიგრირებულ პირთა ასეთივე მასალა, რაც ამა თუ იმ მიზეზით გადაიცა სახელმწიფო დაწესებულებისა და თანამდებობის პირის გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ზ) არქივი რუსეთის ყოფ. სამეფო გვარეულობის სასახლეებისა და ნაციონალიზებული კარმიდამოსი და აგრეთვე ყოველგვარი სამიწათმფლობელო არქივი მთელი პერიოდის განმავლობაში 1917 წლამდე—ამ წლითურთ;

თ) ყოველგვარი საქმისწარმოების დამთავრებული ან მოსპობილი ხელნაწერი და სხვა მასალა სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოსი, რომელშიაც მონაწილეობს სახელმწიფო კაპიტალი და რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედობს;

ი) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სეკონცესიო საწარმოს ასეთივე მასალის ის ნაწილი, რაც შეეხება ნაგებობას, ტექნიკურ გაწყობილობას, საექსპლუატაციო და საკვლეო მუშაობას (გეგმა, ნახაზი, აღწერილობა და სხვ.), მასალა აღნიშნულ სეკონცესიო საწარმოებში მუ-

შა-ძალის გამოყენების თაობაზე და აგრეთვე კერძო პირთა მიერ იჯარით აღებული სახელმწიფო საწარმოთა მასალის ის ნაწილი, რაც იმავე საკითხებს შეეხება;

კ) უპატრონო, ბეითალმანი, კონფისცირებული ხელნაწერი და სხვა ამგვარი მასალა, რასაც საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს იმ ადგილის ორგანო, სადაც ეს მასალა აღმოჩენილ იქნა, სცნობს საარქივო მნიშვნელობის მქონე მასალად, თუნდაც იგი თავისი ხასიათით არ ეკუთვნოდეს ამა მუხლის წინა პუნქტებში ჩამოთვლილ სხვადასხვა მასალას, რომელსაც საქართველოს სსრ საარქივო სამმართველო უნდა განაგებდეს (მაგალითად, სალიტერატურო და სამეცნიერო ნაწარმოების ხელნაწერი, კერძო მიწერ-მოწერა, დღიური, ძველი სიგელ-გუჯრები და სხვ.);

ლ) ფოტოგრაფიული სურათებისა და კინო-ფილმის ნეგატივები რევოლიუციის წინა პერიოდისა და რევოლიუციის შემდგომი პერიოდისა, რასაც ისტორიულ-რევოლიუციონური ინტერესი აქვს (მათ რიცხვში ისეთიც, რომელიც არსებული წესისამებრ აკრძალულია დასადგმელად და გამოსაქვეყნებლად), ხოლო უკეთუ აღნიშნული ნეგატივები დაკარგულია, —მათი პოზიტივები, რაც დაგროვდა და გროვდება საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში ამჟამად შემავალ ტერიტორიაზე;

მ) საილუსტრაციო, ნაბეჭდი, ხელნაწერი და სხვა მასალა, რაც ვისმე მიერ, —ვინც უნდა იყოს იგი, —გამოშვებულია მასსაში ავტოტაციისა და პროპაგანდის გაწვევის სპეციალური მიზნით, როგორც არის: რევოლიუციონური და კონტრრევოლიუციონური პლაკატი, ყოველგვარი გამოსახულება, დანიშნული საჯარო ადგილას გამოკრისათვის ან სხვაგვარად გავრცელებისათვის, ფურცელი, მოწოდება, პროკლამაცია და სხვ., რაც ამა თუ იმ მიზეზით გადაიცა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო დაწესებულებების გამგებლობაში, ვარდა რევოლიუციის მუზეუმისა და სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისა;

ნ) არქივი ხელნაწერებისა და გაზეთების ან ჟურნალების კომპლექტებისა, რაც დაგროვდება ბეჭდვით ორგანოებთან, და აგრეთვე არქივი გაზეთ-ჟურნალების რედაქციისა და წიგნის გამომცემლობისა, რომელიც ინახება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსარით ან მოქმედობს სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით; ასეთივე არქივი რევოლიუციის წინა პერიოდის ყველა ბეჭდვითი ორგანოსი;

ო) ხელნაწერი სალიტერატურო, სამეცნიერო და სხვა ნაწარმოებისა, პერიოდული და არაპერიოდული ბეჭდვითი ორგანოს წერილებისა და საინფორმაციო ცნობებისა და აგრეთვე დასურათებული მასალა, რაც ამა თუ იმ მიზეზით გამოსაქვეყნებლად აკრძალულია.

2. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია, თანამდებობის პირი და კერძო პირი, რომლის ხელშიაც ფაქტიურად არის წინა მუხლის თანახმად სახელმწიფო საარქივო ფონდის შედგენილობაში შემავალი რევოლიუციის წინა პერიოდის საარქივო მასალა, ვალდებულია არა უგვიანეს სამი თვისა, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, განუცხა-

დოს ეს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ორგანოებს იმ ადგილას, სადაც მასალაა, რათა ეს მასალა შემდგომ ჩაბარებულ იქნეს იმ წესით და იმ ვადაზე, რასაც დაადგენენ ცენტრალური საარქივო სამმართველოს აღნიშნული ორგანოები სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდის საარქივო მასალა გადავა საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის შედგენილობაში იმ ვადის გადასვლის შემდეგ, რაც დადგენილია მათ შესანახად სათანადო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

ფოტოგრაფიული სურათებისა და კინო-ფილმის ნეგატივები ჩაბარებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის დეკემბრის 3-ის დადგენილებაში (კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 306) აღნიშნულ საფუძველზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
ტფილისი—სასახლე.

116. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

კინოფიკაციის ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება კინოფიკაციის ფონდების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კინოფიკაციის ფონდების შესახებ.

1. კინოფიკაციის სპეციალური ფონდები შეიქმნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანიის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და აგრეთვე საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში.

2. კინოფიკაციის ფონდების შექმნისათვის მიიქცევა შემდეგი სახსარი:

ა) ყველა იმ სახის კინოდანადგამთა წმინდა მოგება (წესდებით განსაზღვრული სარეზერვო კაპიტალსა და მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში გადასარიცხავი სავალდებულო თანხების გამოკლებით), რომელნიც კინო-სურათების გაქირავებისათვის სარგებლობენ კომერციულ ტარიფებს და რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფო დაწესებულებებისა და აგრეთვე კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში, იმისდამიუხედავად, თუ რა ადგილას არის კინოდანადგამი, ვის ეკუთვნის იგი და რა მიზნით სწარმოებს მისი ექსპლოატაცია;

ბ) ნახევარი წმინდა მოგება ცალკეული თუ ჯგუფური კინო-სეანსებისა, სადაც და რა მიზნითაც უნდა გამართოს ეს კინო-სეანსები სახელმწიფო დაწესებულებამ და აგრეთვე კოოპერატიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ქირავნობის სასყიდლით კომერციული ტარიფის შესაბამისად;

გ) ასიგნები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით;

დ) სპეციალური ასიგნები პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა;

ე) ნებაყოფლობით შემოსული გამოსაღები და ანარიცხი;

ვ) სესხი გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების წესით;

ზ) წმინდა მოგება იმ დროებითს საწარმოთა ექსპლოატაციისა, რაც მოწყობილ იქნება კინოფიკაციისათვის მისაქცევი სახსარის გაძლიერების მიზნით;

თ) პროცენტი კინოფიკაციის ფონდების შემადგენელი კაპიტალებისა.

შენიშვნა 1. იმ კინოდანადგამის წმინდა მოგება, რომელიც კინოფილმების მწარმოებელი კინოორგანიზაციას ეკუთვნის, კინოფიკაციის ფონდში არ შედის და შეიძლება დამოუკიდებლად გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ კინოწარმოების ან ახალი თეატრებისა და მოძრავი კინოების მშენებლობის საქიროებისათვის—ორგანიზაციის შეხედულებისამებრ.

შენიშვნა 2. უკეთუ დაწესებულებას თუ ორგანიზაციას რამდენიმე კინოდანადგამი აქვს, წმინდა მოგება განისაზღვრება მათი ჯუშლობითი ბალანსით.

შენიშვნა 3. კომერციული ტარიფის შეფარდების საკითხს („ა“ და „ბ“ პუნ.) ვადასწყვეტენ სათანადო გამჭირავებელი კინო-ორგანიზაციები გასამართავი კინო-სეანსების მიზნის მიხედვით.

შენიშვნა 4. პროფესიონალურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ შექმნან საკუთარი ფონდები იმ კინოდანადგამთა ანაჩიხებისაგან, რომლების ექსპლოატაციასაც პროფესიონალური კავშირები ეწევიან შეღავათიანი ტარიფებით.

3. მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული თანხები მიიქცევა კინოფიკაციის ფონდებში სათანადო საწარმოთა გასული სოაპერაციო ანგარიშებისა და ბალანსების არსებული წესისამებრ დამტკიცების შემდეგ დაწყებული 1929 წ. ოქტომბრის 1-ის ბალანსიდან, ხოლო „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული თანხები—დაუყოვნებლივ მათი გამორკვევისათანავე.

4. კინოფიკაციის ფონდები დანიშნულია კინოქსელის მშენებლობის დაფინანსებისათვის.

აღნიშნული ფონდების ხარჯით პირველ რიგში სწარმოებს ახალი კინოთეატრების მშენებლობა მუშათა რაიონებში, აგრეთვე იმ სოფლებსა და ადგილებში, სადაც კინო არ არსებობს, და სოფლის მოძრავი კინოების ქსელის გაფართოება; მეორე რიგში—სწარმოებს ქალაქებსა და სოფლებში მომქმედი კინოდანადგამების რემონტი და გაფართოება.

შენიშვნა 1. კინოფიკაციის ფონდების სახსარის მოხმარება მომქმედი კინოქსელის ზარალის დასაფარავად არ შეიძლება.

შენიშვნა 2. კინოფიკაციის ფონდის ის ნაწილი, რომელიც შეიქმნება პროფესიონალურ კავშირთა კინოდანადგამებიდან შემოსული თანხებისაგან, გამოყენებულ უნდა იქნეს მარტოოდენ კინო-თეატრების მშენებლობისათვის სათანადო ადგილის მუშათა რაიონებში, სათანადო პროფესიონალურ შენაერთთან შეთანხმებით.

5. საერთო წესებისამებრ კინოფიკაციის ფონდიდან შეიძლება გაიცეს მარტოოდენ დასაბრუნებელი სესხები; ხოლო უკუდაუბრუნებელი ასიგნების გადადება შეიძლება როგორც გამონაკლისი ამა თუ იმ ადგილას, სადაც ჯერ კიდევ კინო-საწარმო მოწყობილი არ არის.

6. კინოფიკაციის ფონდიდან გაცემული სესხისათვის მსესხებელს გადახდება პროცენტი: მოკლევადიანზე—არა უმეტეს ექვსი პროცენტისა წლიურად და გრძელვადიანზე—არა უმეტეს ოთხი პროცენტისა წლიურად.

7. კინოფიკაციის ფონდების გამოყენების დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვები და გვეგები, აგრეთვე ამ ფონდების ხარჯვის ანგარიშები წარედგინება ზემდგომ საფინანსო ორგანოებს სათანადო ბიუჯეტის დანართების სახით.

8. კინოფიკაციის ფონდების სახსარი ინახება მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში ან კომუნალურ ბანკებში და აღინუსხება სათანადო ბიუჯეტების ბალანსებზე სპეციალური დანიშნულების კაპიტალების სახით.

9. მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ პუნქტების წესისამებრ კინოფიკაციის ფონდების შესაქმნელად მიქცეული სახსარის 50%—ი შედის სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და აფხაზეთის

სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კინოფიკაციის ფონდებში—კუთვნილებისამებრ, ხოლო დანარჩენი 50%—საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კინოფიკაციის ფონდებში.

ამის გარდა, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კინოფიკაციის ფონდში შედის კინოფიკაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ასიგნებები და საამისოდ გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების წესით გაცემული სესხი, ხოლო ადგილობრივ ფონდებში—ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული ასიგნებები.

10. მეთვალყურეობის გაწევა, რათა ამა დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახსარი თავის დროზე მიქცეულ იქნეს კინოფიკაციის ფონდებში და რათა იგი სათანადოთ იხარჯებოდეს, თანახმად დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვებისა, აგრეთვე ფონდებში შესული თანხებისა და ამ ფონდებიდან გაწეული ხარჯების საბუხვალტერო აღნუსხვა დაეკისრება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მის ადგილობრივ ორგანოებს.

11. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და აგრეთვე საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობიან კინო-კომიტეტები, რომლებსაც დაეკისრება შემდეგი მოვალეობა:

ა) მიიღონ ყოველი საჭირო ღონისძიება, რათა ამა დებულებით გათვალისწინებული ანარიცხები თავის დროზე შედიოდეს კინოფიკაციის ფონდებში;

ბ) მოაწყონ ნებაყოფლობით გამოსაღების შეკრეფა მოსახლეობაში კინოფიკაციის ფონდების გასაძლიერებლად;

გ) აღძრან პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე საკითხი სპეციალური ასიგნებების გადადების შესახებ;

დ) შეადგინონ კინოფიკაციის ფონდების სახსარის შექმნისა და ხარჯვის წინასწარი გეგმები და ხარჯთაღრიცხვები და წარუდგინონ დასამტკიცებლად სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს;

ე) შეასრულონ დამტკიცებული გეგმები და ხარჯთაღრიცხვები და შეადგინონ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის დასამტკიცებლად წარსადგენი წლიური ანგარიშები.

12. მე-10 მუხლში აღნიშნული კინო-კომიტეტები შესდგებიან თავმჯდომარისა და წევრებისაგან. კინო-კომიტეტის თავმჯდომარეს დანიშნავს თავის წევრთაგან ის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელთანაც კინო-კომიტეტი მოწყობილი.

კომიტეტის წევრებს, რიცხვით არა ნაკლებ ოთხისა, წარგზავნიან აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებისამებრ, საფინანსო მმართველობისა, საბოძმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა, პოლიტიკური განათლებისა და პროფესიონალური კავშირების რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანოები.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინო-კომიტეტის შედგენილობაში, ზემოაღნიშნულ პირთა გარდა, შედის აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო კინომრეწველობის წარმომადგენელი, რომელსაც დანიშნავს აღნიშნული კინომრეწველობის გამგეობა.

117. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

რათა სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებელი (სოციალისტური) სექტორის შიგნითვე დადებული ვარიეტებიანი განთავისუფლებულ იქნენ სავალდებულო სანოტარო დამოწმებისაგან და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლი (საქ. სსრ. კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-ი, მუხ. 100 და 21 №-ი, მუხ. 236) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით;

„მუხ. 137. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ, მათ შორის პროფესიონალურ კავშირთა მიერ, კერძო პირებთან და ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება აუცილებლად დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით. ამის გამოწვევის შეადგენს: ა) ხელშეკრულება ათას მანეთზე არა უმეტესი თანხისა; ბ) ვარიეტება საკრედიტო დაწესებულების საანაბარო, სასესხო და საკომისიო ოპერაციების გამო; გ) ნასყიდობის ვარიეტება ანგარიშის ნაღდად გასწორებით; დ) დაზღვევის ხელშეკრულება; ე) კონტრაქტაციის ხელშეკრულება; ვ) საავტორო უფლებისა და მისგან გამომდინარე უფლებამოსილობის გადაცემის ხელშეკრულება; ზ) ვარიეტება, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოს სარეგისტრაციო ბიუროში; თ) ნარდად მუშაობისა და ნასყიდობის ხელშეკრულება (მათ შორის გაყიდვა-მიწოდებაც), დადებული სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატისა, ვაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სმმართველოს განსაკუთრებული განყოფილებისა და ჯარისა და აგრეთვე სსრ კავშირის საბადრაგო ჯარის ორგანოების მიერ, რომელი ხელშეკრულებაც გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში საერთო-საკავშირო კანონით ვათვალისწინებული განსაკუთრებული წესისამებრ“.

2. 137 მუხლის შენიშვნა ამოიშალოს.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული რედაქცია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლისა სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1930 წ. ოქტომბრის 1-დან.

4. ვიდრე სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137 მუხლის ახალი რედაქცია სამოქმედოდ შემოიღებოდეს, განთავისუფლებულ იქნეს სავალდებულო სანოტარო დამოწმებისაგან (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედი 137 მუხლის საერთო წესების გამონაკლისად): ა) სახელმწიფო ორგანოებისა, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კაპიტალური მშენებლობის თაობაზე დადებული გარიგება; ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონტრაქტაციის გარიგება; გ) სახელმწიფო და კოოპერატიული გამომცემლობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამგებლობაში მყოფი გამომცემლობის მიერ სასწავლო ან სხვა საგანმანათლებლო ლიტერატურის გაყიდვა-მიწოდების თაობაზე დადებული ხელშეკრულება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
ტფილისი—სასახლე.

118. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის თაობაზე“ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

„პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 51 №-ი, მუხ. 462) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. იანვრის 15-ის დეკრეტს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2) დაემატოს 8¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 8¹. პირველი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შე-
ლავათნი და უპირატესობანი მიენიჭებათ იმ წესების დაცვით, რაც განსაზღვ-
რულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომი-
სართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებით „პირველი საფეხურის
კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების
წესის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 51 №-ი, მუხ. 462)“.

II. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აპრილის 20-ის
თარიღისა და 43 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას „ინვალიდთა
კოოპერატიული შენაერთების შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-ი, მუხ. 66
და 1928 წ. მე-4 №-ი, მუხ. 30) დაემატოს 39¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 39¹. ინვალიდთა პირველი საფეხურის კოოპერატიულ შენაერთებს
შელავათნი და უპირატესობანი მიენიჭებათ იმ წესების დაცვით, რაც განსა-
ზღვრულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო
კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებით „პირველი საფეხუ-
რის კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინი-
ჭების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 51 №-ი, მუხ. 462)“.

აღნიშნული დებულების 38 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
ტფილისი—სასახლე.

119. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სათამაშუკო დებულების 1 მუხლის შეცვლის შესახებ.

„თამაშუკის საღერბო გამოსაღების გაუქმების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს
1930 წ. იანვრის 3-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ.
11) თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი
და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სათამაშუკო დებულების (სსსრ კან. კრ. 1924 წ. მე-6 №-ი, მუხ. 28) 1-ლი
მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. თამაშუკი ეწოდება ისეთ სავალო ფულად ვალდებულებას, რასაც
ერთი მხარე (თამაშუკის გამცემი) წერილობით აძლევს მეორე მხარეს (თამაშუკის

პატრონი) ამა დებულების მოთხოვნათა დაცვით. არის თამასუქი მარტივი და შეპირებული. ყველა თამასუქისათვის დაწესებულია მონაწილეთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და დაკმაყოფილების განსაკუთრებული წესი (სათამასუქო ძალა).“

1-ლი მუხლის შენიშვნა (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 262) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
 ლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
 ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
 ტფილისი—სასახლე.

120. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სარეწაო კოოპერაციის დებულებების“ 94 მუხლის გაუქმების შესახებ.

„უწყებთა და კოოპერატივთა სარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 60) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 24-ის დადგენილებით დამტკიცებული სარეწაო კოოპერაციის დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78) 94 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
 ლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
 ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
 ტფილისი—სასახლე.

121. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების მე-17 მუხლისათვის მე-4 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202) მე-17 მუხლს დაემატოს მე-4 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა 4. „მუშათა და გლეხთა წითელ არმიის თავმდგომთა შედგენილობის პირთ, რომელნიც სხვა ქალაქს იგზავნებიან ცოდნის წარმატების კურსებზე, ბინის ქირა კურსებზე სწავლების დროისათვის გადაჰხდებათ იმ განაკვეთის 50%-ის რაოდენობით, რასაც ისინი თავიანთი სამსახურის ადგილას იხდიან, უკეთუ მათ კურსების სამყოფელ ადგილას უფასო სადგომი არა აქვთ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
 ტფილისი—სასახლე.

122. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 20, 28, 29, 34, 35, 54, 55 და სხვა მუხლების შეცვლის შესახებ.

„სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად დებულებათა 13, 18, 22 და 38 მუხლების შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო

კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 6-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 72 №-ი, მუხ. 686) დაკავშირებით და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სისხლის სამართლის კოდექსის 20, 28, 29, 34, 35, 54 და 55 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 20. სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიება არის:

ა) დანაშაულის მშრომელთა მტრად გამოცხადება, საქართველოს სსრ-ის მოქალაქეობისა და ამით სსრკ-ის მოქალაქეობის ჩამორთმევით და სსრკ-ის ფარგლებიდან საშუალოდ გაძევებით;

ბ) თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით სსრკ-ის შორეულ ადგილას;

გ) თავისუფლების აღკვეთა საერთო საპატიმრო ადგილას მოთავსებით;

დ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად;

ე) უფლების აყრა;

ვ) სსრკ-ის ფარგლებიდან განდევნა ამა თუ იმ ვადით;

ზ) საქართველოს სსრ-ის ფარგლებიდან ან მისი რომელიმე ადგილიდან განდევნა, ამა თუ იმ ადგილას დასახლებით, ან უამისოდ, ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვით ან უამისოდ;

თ) თანამდებობიდან დათხოვნა;

ი) ამა თუ იმ თანამდებობის დაჭერისა, საქმიანობის ან ხელობის აკრძალვა;

კ) საზოგადოებრივი გაკიცხვა;

ლ) ქონების კონფისკაცია;

მ) ჯარიმა;

ნ) გაფრთხილება.

მუხ. 28. თავისუფლების აღკვეთა, შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით სსრკ-ის შორეულ ადგილას, დაიდება ვადით სამი წლიდან ათ წლამდე.

თავისუფლების აღკვეთა, საერთო საპატიმრო ადგილას მოთავსებით, დადება ვადით ერთი თვიდან სამ წლამდე.

ის პირი, რომელსაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა საერთო საპატიმრო ადგილას მოთავსებით, მოიხდის ამ ღონისძიებას საერთო წესისამებრ შრომა-გასწორების კოლონიაში. საერთო საპატიმრო ადგილას თავისუფლების აღკვეთის მოხდა განისაზღვრება შრომა-გასწორების კოდექსით.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, უკეთეს სასამართლოს აზრით მსჯავრდადებული სოციალურად იმდენად საშიში არ არის, რომ საჭირო იყოს მისი შრომა-გასწორების ბანაკში გაგზავნა, ან აშკარაა, რომ იგი ფიზიკური შრომისათვის

არ გამოდგება, სასამართლოს უფლება აქვს განაჩინოსაც განსაკუთრებული დადგენილებით ბანაკში მოთავსება შესცვალოს საერთო საპატიმრო ადგილას მოთავსებად იმავე ვადით.

მუხ. 29. წინასწარი პატიმრობის დრო, აგრეთვე ის დრო, რაც მსჯავრდადებულმა პატიმრობაში დაჰყო განაჩენის გამოცხადების მომენტიდან მისი კანონიერ ძალაში შესვლამდე, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ თავისუფლების აღკვეთის ვადაში. უკეთუ მსჯავრდადებულს შეეფარდა სხვა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლის „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ“ და „ლ“ პუნქტებში აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება, სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს მხედველობაში გასამართლებამდე პატიმრობაში გატარებული დრო და სათანადოდ შეამციროს გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიება ან დაადგინოს, რომ ეს ღონისძიება სრულიად არ იქნეს შეფარდებული. ამასთანავე, ეს ჩათვლა იმ პირისათვის, ვისაც იძულებითი მუშაობა გადაეწყვიტა, მოხდება იმ ანგარიშით, რომ თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე ჩაითვლება იძულებითი მუშაობის სამ დღედ.

მუხ. 34. სსრკ-ის ფარგლებიდან განდევნა დაიდება ვადით სამი წლიდან ათ წლამდე.

საქართველოს სსრ-ის ფარგლებიდან ან მისი რომელიმე ადგილიდან განდევნა, ამა თუ იმ ადგილას დასახლებით ან უამისოდ, ან და ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვით ან უამისოდ, სასამართლოს შეუძლიან გადაუწყვიტოს იმ პირს, რომელიც მისი დანაშაულებრივი მოქმედების მიხედვით ან უწყებელი ადგილის დამნაშავეთა წრესთან კავშირის გამო ცნობილ იქნება სოციალურად საშიშ პიროვნებად.

საქართველოს სსრ-ის ფარგლებიდან ან მისი რომელიმე ადგილიდან განდევნა, ამა თუ იმ ადგილას დასახლებით, დაიდება ვადით სამი წლიდან ათ წლამდე. საქართველოს სსრ-ის ფარგლებიდან ან მისი რომელიმე ადგილიდან განდევნა, ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების აკრძალვით ან უამისოდ, დაიდება ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე.

უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება გადაწყვეტილ იქნება თავისუფლების აღკვეთის დამატებად, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ღონისძიების ვადა დაიწყება პატიმრობის მოხდის მომენტიდან.

შენიშვნა. ის მსჯავრდადებული, რომელსაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით და შემდგომ ამა თუ იმ ადგილიდან განდევნით და განსაზღვრულ ადგილას აუცილებელი დასახლებით, თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდის შემდეგ, დასახლება იმ ვადით, რომლის გასვლამდეც მას აღკვეთილი აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება, ბანაკის რაიონში, სადაც მას მიეცემა მიწა ან სასყიდლიანი სამუშაო.

მუხ. 35. სასამართლოს შეუძლიან, პროკურატურის ორგანოს წინადადებით, 34 მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიებანი შეუფარდოს ამავე ნაწილში აღნიშნული კატეგორიის პირს იმისდამოუხედავად, მტკემულია იგი თუ არა პასუხისგებაში სასამართლო წესით განსა-

ზღვრული დანაშაულის ჩადენისათვის, და აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც იგი გამართლებულ იქნება განსაზღვრულ დანაშაულში, ხოლო სასამართლო სტნობს, რომ იგი სოციალურად საშიში პიროვნებაა.

მუხ. 54. ის, ვისაც სოციალური დაცვის ღონისძიება ვადით გადაეწყვიტა და გამოსწორება დაეტყო, შეიძლება ვადამდე პირობით განთავისუფლებულ იქნეს მას შემდეგ, რაც მოიხდის არა ნაკლებ, ვიდრე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების ერთ-მესამედ ვადას.

ვადამდე პირობით განთავისუფლება გამოიხატება ან სოციალური ღონისძიების მოუხდელი ნაწილისაგან განთავისუფლებით, ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების უფრო მსუბუქ ღონისძიებად შეცვლით.

შენიშვნა. მას, ვინც თავისუფლების აღკვეთას შრომა-გასწორების ბანაკში იხდის, ვადამდე პირობით განთავისუფლება შეეფარდება ამ ბანაკის რაიონში საცხოვრებლად გადაყვანის სახით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ვადის განმავლობაში.

მუხ. 55. ვადამდე პირობით განთავისუფლების შეფარდების წესი და შემფარდებელი ორგანო აღნიშნულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და შრომა-გასწორების კოდექსის სათანადო მუხლებში.

სსრკ-ის სასამართლო დაწესებულებათა მიერ მსჯავრდებულთათვის ვადამდე პირობით განთავისუფლების შეფარდების წესი განისაზღვრება სსრკ-ის კანონმდებლობით.

შენიშვნა. ვადამდე პირობით განთავისუფლების შეფარდების წესი იმათთვის, ვინც თავისუფლების აღკვეთას შრომა-გასწორების ბანაკში იხდის, განისაზღვრება ამ ბანაკთა დებულებით.

II.

სისხლის სამართლის კოდექსის ყველა იმ მუხლიდან, სადაც მოხსენებულია თავისუფლების აღკვეთა „სასტიკი იზოლაციით ან უამისოდ“, ან თავისუფლების აღკვეთა „სასტიკი იზოლაციით“, ან და თავისუფლების აღკვეთა „სასტიკი იზოლაციის შეუფარდებლად“, ამოიშალოს სიტყვები: „სასტიკი იზოლაციით ან უამისოდ“, „სასტიკი იზოლაციით“ და „სასტიკი იზოლაციის შეუფარდებლად“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებ-

ბელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ზოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

123. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნისა, 85 მუხლის მე-2 ნაწილისა და 195 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნა, 85 მუხლის მე-2 ნაწილი და 195 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 15. შენიშვნა 3. „ამა მუხლით დაწესებული ხანდაზმულობა არ გავრცელდება ისეთ ქმედობაზე, რაც ამა კოდექსის თანახმად დევნილ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით. ასეთი ქმედობისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში დღიდან ქმედობის ჩადენისა, აღსრულება კი—ერთი წლის განმავლობაში დღიდან დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლისა.“

„ამა კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედობისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება ერთი წლის განმავლობაში დღიდან ქმედობის ჩადენისა.“

მუხ. 85. ნაწ. 2. „ხოლო უკეთუ უკანონოდ მონაპოვარის ღირებულება ან უკანონოდ მიყენებული ზიანი ხუთმეტ მანეთს არ აღემატება—

იძულებით მუშაობას ოც დღედაღამემდე ან ჯარიმას არა უმეტეს უკანონოდ მონაპოვარის ან ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი-სამად, რაც დადებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ ადმინისტრატიული წესით, უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით და უკანონოდ მოჭრილი, გატაცებული, განადგურებული ან დაზიანებული ტყის ერთჯერადი ღირებულების გადახდევინებით საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემოსავლად.“

მუხ. 195. „სოფლად ბალისა, ვენახისა, ბოსტნისა, ნათესისა და სხვ. განზრახ წახდენა საქონლის მიშვებით, უკეთუ მიყენებული ზიანი ხუთმეტ მანეთს არ აღემატება, გამოიწვევს



იძულებით მუშაობას ოც დღედაღამემდე ან ჯარიმას არა უმეტეს წინახედით მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი-ორად, რაც დადებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ აღმინისტრაციული წესით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.

ტფილისი—სასახლე.

124. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის №21 მუხლის დამატების შეხახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დამატოს 321 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. №21. საქმე, რომლითაც კავკასიის წითელდროშიანი არმიის რიგებში მყოფ პირთ ჰბრალდებათ ისეთი დანაშაული, რაც გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე ნაკლები ვადით ან ამაზე უფრო მსუბუქ სოციალური დაცვის ღონისძიებას, აუცილებლად უნდა გადაეცეს სასამართლოს ბრალდებულის სამსახურის ადგილის მიხედვით. ეს გადაცემა მოხდება იმ სასამართლოს დადგენილებით, რომელსაც საქმე განსახილველად მიუვა. სხვა შემთხვევაში, როდესაც კავკასიის წითელდროშიანი არმიის რიგებში მყოფი პირნი მიცემულ უნდა იქნენ სამართალში, სასამართლო მოვალეა განიხილოს საქმის გადაცემის საკითხი საერთო წესისამებრ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.

ტფილისი—სასახლე.

125. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 454 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 454 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით;

„მუხ. 454. ვიღამღე პირობითი განთავისუფლება შეიძლება განმანაწილებელი კომისიის დადგენილებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსჯავრდადებული, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა გადაეწყვიტა, მოიხდის სასამართლოს განაჩენით გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების ვადის ერთ მესამედზე არა ნაკლებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მსჯავრდადებული, მძიმე განუკურნებელი სენისა ან სულით ავადმყოფობის გამო, შეიძლება სასამართლოს მიერ პირობით განთავისუფლებულ იქნეს გადაწყვეტილი ვადის ერთი მესამედის გასვლამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
 ტფილისი—სასახლე.

126. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სოფლის აღმასრულებელთა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რათა სასოფლო საბჭოებმა თავის დროზე და წარმატებით შეასრულონ თავისი მოვალეობანი საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უშიშროების დაცვის საქმეში და აგრეთვე კეთილმოწყობისა და საადმინისტრაციო, საფინანსო, სასამართლო და სხვა ორ-

განოების მინდობილობათა განხორციელების საქმეში—ყველა სასოფლო საბჭოსთან დაარსებულ იქნეს სოფლის აღმასრულებლის თანამდებობა.

2. სოფლის აღმასრულებელი ასრულებს სასოფლო საბჭოს და მის თავმჯდომარის ყველა მინდობილობას ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საქმეთა გამო, კერძოდ: ასრულებს დადგენილებასა და ბრძანებას მოქალაქეთა შეპყრობის შესახებ და სდარაჯობს და ჰბადრაგობს შეპყრობილთ, თვალყურს ადევნებს კანონით და ადგილობრივ ორგანოთა სავალდებულო დადგენილებებით განსაზღვრული წესრიგის დაცვას, აბარებს მოქალაქეთა სასამართლო და საადმინისტრაციო ორგანოების დასაბარებელ უწყებას, აგრეთვე ყოველგვარ შეტყობინებას სავადასახადო, სასამართლო და საადმინისტრაციო საქმეების გამო, დახმარებას უწყვეს მილიციის ორგანოებს მათ მიერ ამა თუ იმ ადგილას თავიანთი მოვალეობის აღსრულების საქმეში და სხვ.

3. სოფლის აღმასრულებელი დანიშნავს სასოფლო საბჭო ყოველ სოფელში, მორიგეობით, უწყებულ ადგილას მუდმივად მცხოვრებ ყველა მოქალაქეთაგან, რომელნიც მე-4 მუხლში აღნიშნულ პირობებს შეეფერებიან, ვადით არა უმეტეს ორი თვისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რიცხვით.

შენიშვნა 1. იმ სოფელში, სადაც 30 ოჯახზე (კომლზე) მეტია, შეიძლება დაინიშნოს რამდენიმე სოფლის აღმასრულებელი, ხოლო ისე კი, რომ მათი რიცხვი არ აღემატებოდეს ერთ სოფლის აღმასრულებელს თვითულ 25 ოჯახზე.

შენიშვნა 2. სოფლის აღმასრულებელად არ დაინიშნება: ა) ის პირი, ვინც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს დაქირავებით ან არჩევით სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში; ბ) შრომის უნარმოკლებული; გ) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე.

4. სოფლის აღმასრულებელად შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე 18 წლიდან 50 წლამდე, ვისაც საბჭოთა არჩევის უფლება აქვს.

შენიშვნა. ის მოქალაქე, რომელსაც, როგორც საარჩევნო უფლებანიჭორთმეულს, არ შეუძლიან სოფლის აღმასრულებლის მოვალეობა შეასრულოს, დაიბეგრება განსაკუთრებული ადგილობრივი გამოსაღებით.

5. სოფლის აღმასრულებელი ექვემდებარება სათანადო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს და იმყოფება სათანადო რაიონის მილიციის უფროსის განსაკუთრებულ აღნუსხვაზე.

6. სოფლის აღმასრულებელი დაკისრებული მოვალეობის აღსრულების საქმეში პასუხისმგებელია როგორც თანამდებობის პირი.

7. ის მოქალაქე, რომელიც სოფლის აღმასრულებლის თანამდებობას ასრულებს, ამ მოვალეობის აღსრულების დროის განმავლობაში განთავისუფლდება ყოველგვარი ნატურალური ბეგარისაგან (შრომითი საგზაო, თვითდაბეგარისა, შრომითი წყალ-სამეურნეო, ჭაპანზიდვისა და სხვ. ბეგარა).

8. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას 10 დღის ვადაზე გამოს-

ცეს: ა) საერთო ინჰსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და ბ) საქართველოს სსრ პროკურორთან და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით—სპეციალური ინსტრუქცია სასოფლო საბჭოების მიერ სასამართლო ორგანოების იმ მინდობილობათა შესრულების წესის თაობაზე, რაც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე უწყებებისა და შეტყობინებების ჩაბარებას ეხება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

127. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სასოფლო საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ დააწესონ და გადაახდევინონ ადგილობრივი გამოსაღები იმ პირთ, ვისაც სოფლის აღ-
მასრულებლად ყოფნის უფლება ჩამორთმეული აქვს.

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 57 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიეცეს სასოფლო საბჭოებს უფლება დააწესონ და გადაახდევინონ ადგილობრივი გამოსაღები იმ პირთ, ვისაც სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლება ჩამორთმეული აქვს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადაჰხდება ყველა იმ პირს, ვისაც არ შეიძლება დაეკისროს სოფლის აღმასრულებლის მოვალეობა საბჭოთა საარჩევნო უფლების ჩამორთმევის გამო.

3. გადახდელს ზემოაღნიშნული გამოსაღები გადაჰხდება იმ დროს, როცა დადგება მისი რიგი შეუდგეს სოფლის აღმასრულებლის მოვალეობის ასრულებას.

4. გამოსაღების განაკვეთი განისაზღვრება არა უმეტეს ვიდრე 10 მან. რაოდენობით თვითეული პირისათვის, უკეთეს ამა თუ იმ სოფელში სოფლის აღმასრულებელს მისი მოვალეობა დაეკისრება ორი თვის ვადით; ხოლო იმ სოფელში, სადაც სოფლის აღმასრულებლის მოვალეობის მოხდა ორ თვეზე ნაკლები ვადით დაწესდება, გამოსაღების რაოდენობა სათანადო შემცირდება—2 მან. და 50 კაპ. ვარაუდით თვითეული იმ ორი კვირისათვის, რასაც სოფლის აღმასრულებელი თავის მოვალეობას ეწევა.



5. ზემოაღნიშნული გამოსაღებით შემოსული თანხები ჩაირიცხება სასოფლო ბიუჯეტის შემოსავლად, ხოლო იქ, სადაც სასოფლო საბჭოს დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ აქვს—სარაიონო ბიუჯეტის შემოსავლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

128. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არა-მშრომელი კატეგორიების პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან უოფილ მფლობელთა გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-8 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილებისა „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიების პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან უოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლ №-ი, მუხ. 7) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 8 მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-
ჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

129. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ. დ ა ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 67 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 67 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„67. სასამართლოს უწყება და შეტყობინება გაიზავნება ფოსტით დაკვეთილ პაკეტში უკან დასაბრუნებელი ბარათით ან სასამართლოს გზირის ხელით; უწყება და შეტყობინება შეიძლება აგრეთვე გადაცემულ იქნეს სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით; როდესაც უწყების და შეტყობინების ჩაბარება ზემოაღნიშნული წესით საძნელოა, იგი, მოდავის თხოვნით და სასამართლოს ნებართვით, შეიძლება გადაეცეს თვით მოდავეს მეორე მხარისათვის ჩასაბარებლად“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე

130. დადგენილება ც. ა. კ. დ ა ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„130 მუხ. თავისუფლად მყოფი ბრალდებული დაბარებულ უნდა იქნეს ფოსტით გაგზავნილი უწყებით, ტელეფონოგრაფით ან სასამართლოს გზირის მეშვეობით ჩაბარებული უწყებით. სოფლად მცხოვრები ბრალდებულის უწყებით დაბარება სწარმოებს სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით; გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ბრალდებულის სასწრაფოდ დაბარება და უწყებულ ადგილთან საფოსტო ან სხვა სახის კავშირგაბმულობა არ არსებობს, ბრალდებული შეიძლება დაბარებულ იქნეს მილიციის მეშვეობით.

უწყება გაიგზავნება ორ ცალად; პირველი ცალი უნდა ჩაბარდეს ბრალდებულს, ხოლო მეორე, მისი ხელმონაწიერით, დაბრუნებულ უნდა იქნეს. უკეთეს ბრალდებული დროებით სხვაგან არის, უწყება გადასაცემად ხელწერილით უნდა ჩაბარდეს მის შინაურებს ან უახლოეს მეზობელს.

დაპატიმრებული ბრალდებული დაბარებულ უნდა იქნეს საპატიმროს გამგის მეშვეობით ან დაკითხულ უნდა იქნეს პატიმრობის ადგილას.

შენიშვნა. სამხედრო მსახური დაბარებულ უნდა იქნეს იმ სამხედრო ნაწილის და დაწესებულების უფროსის მეშვეობით, სადაც იგი მსახურობს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრაია.**

1930 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სახალხო.

131. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის შესახებ.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას—სარედაქციო-იურიდიული ბიუროს ხაზით—შეიმუშაოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, და ერთი თვის ვადაზე შეიტანოს საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკიცებლად პროექტი დადგენილებისა ზემოაღნიშნული დებულებიდან გამომდინარე ცვლილებათა

და დამატებათა შესახებ, რაც შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სატყეო კოდექსში და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
 რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივანოვ-კავკაზსკი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
 ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1930 წ. მაისის 18.
 ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ-ში სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობას ან-
 ხორციელებენ:

- ა) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი;
- ბ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი და სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მოქმედი საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველო;
- გ) საბჭოთა სატყეო მეურნეობანი, რომელნიც საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობის ცენტრალური სამმართველოს საწარმოო და საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულები არიან.

II. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის ორგანოების მოქმედების საგნები.

2. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოქმედების საგანს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის სფეროში შეადგენს:

- ა) დამატკიცოს საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს სატყეო-სამეურნეო და საწარმოო-საფინანსო გეგმები;
- ბ) დამატკიცოს ახალ საწარმოთა მშენებლობისა და აგრეთვე არსებულ საწარმოთა გაწყობილობის დამთავრებისა და გაწყობილობის გადაკეთების გეგმები;
- გ) ნება დართოს ცვლილების შეტანა საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს დამატკიცებულ სატყეო-სამეურნეო და საწარმოო-საფინანსო გეგმებში;
- დ) დააწესოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის საკონტროლო ციფრები;

ე) დანიშნოს და დაითხოვოს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს მმართველი, მისი მოადგილე და სალიკვიდაციო კომისია, აგრეთვე დააწესოს მათი გასამრჯელოს რაოდენობა;

ვ) დაამტკიცოს ცენტრალური სამმართველოს მმართველის წარდგენილება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს მთავარი ბუხჰალტრისა და საბჭოთა სატყეო მეურნეობებისა და ცალკეულ საწარმოთა გამგეების დანიშვნისა და დათხოვნის შესახებ;

ზ) დაამტკიცოს ცენტრალური სამმართველოს და საბჭოთა სატყეო მეურნეობების სტრუქტურა და შტატები;

თ) დაამტკიცოს ცენტრალური სამმართველოს წლიური ანგარიშები და ბალანსები და მისი მოგების განაწილება საამისოდ მოქმედ კანონთა თანახმად;

ი) ნება დართოს ხარჯვა საწარმოს გაფართოების კაპიტალისა;

კ) ნება დართოს ცენტრალურ სამმართველოს აილოს გრძელვადიანი სესხი;

ლ) ნება დართოს ცენტრალურ სამმართველოს მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოებებში, საპაიო ამხანაგობებში და სხვა შენაერთებში, რამდენადაც მათი ამოცანები შესაბამება ცენტრალური სამმართველოს მიზნებს;

მ) გადასწყვიტოს საკითხები, რაც დაკავშირებულია ახალ სატყეო მეურნეობათა და ცენტრალური სამმართველოს ახალ საწარმოთა დაარსებასთან და არსებულ სატყეო მეურნეობათა და საწარმოთა რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან;

ნ) განაწესოს დაკვეთები ცენტრალური სამმართველოს პროდუქციაზე და დაამტკიცოს მისი საგასაცემო ფასები;

ო) მოახდინოს ცენტრალური სამმართველოს და მის შედგენილობაში შემავალი საწარმოო და საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულების მოქმედების რევიზია და გამოკვლევა.

3. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) შეიმუშაოს მეცნიერულად და ორგანიზაციულ-ტექნიკურად საქართველოს სსრ სატყეო-სამეურნეო მშენებლობის საკითხები;

ბ) განავოს სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა ტყე; აწარმოოს სატყეო-სამეურნეო მშენებლობა და განახორციელოს ღონისძიებანი სატყეო ეკონომიკისა და სატყეო მშენებლობის სფეროში; აგრეთვე განახორციელოს სატყეო-სააგარარო, სატყეო-საკულტურო, სატყეო-სამელიორაციო, სატყეო-სააღმდგენო და ტყის დაცვის ღონისძიებანი; მოაწესრიგოს ტყის არაპირდაპირი სარგებლობა; იქონიოს მეთვალყურეობა, რათა იმ ორგანოებმა, რომელთაც გადაცემული აქვთ საკურორტო, ადგილობრივი და სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებისა და სპეციალური დანიშნულების ტყეების უშუალო ექსპლოატაციის საქმე, განახორციელონ ზემოაღნიშნული ღონისძიებანი;

გ) გაუწიოს ხელმძღვანელობა სატყეო მეურნეობათა საწარმოო მოქმედებას;

დ) მოაწყოს და აწარმოოს სატყეო მეურნეობათა პროდუქციის გასაღება;

ე) მიაწოდოს სატყეო მეურნეობათ სატყეო-სამეურნეო გაწყობილობა და საწარმოო საშუალებანი;

ვ) დააფინანსოს სატყეო მეურნეობანი დამტკიცებული სატყეო-სამეურნეო და საწარმოო გეგმების თანახმად;

ზ) შეადგინოს საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს სატყეო-სამეურნეო და საწარმოო-საფინანსო გეგმა და დამტკიცოს ასეთივე გეგმები ცალკეულ სატყეო მეურნეობათათვის; შეადგინოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის საკონტროლო ციფრები; დაამტკიცოს კანონით დადგენილი წესისამებრ სამშენებლო ხარჯთაღრიცხვები და გეგმები;

თ) შეადგინოს ცენტრალური სამმართველოს წლიური ანგარიშები და ბალანსები და მოგების განაწილების პროექტი;

ი) წარადგინოს დასანიშნად და დასათხოვანად სატყეო-მეურნეობათა და ცალკეულ საწარმოთა გამგეები და დანიშნოს და დაითხოვოს სატყეო მეურნეობათა კვალიფიციური პერსონალი;

კ) მოაწყოს მერქანის გადამმუშავებელი ცალკეული საწარმონი;

ლ) განახორციელოს შრომის ორგანიზაცია სატყეო მეურნეობებში და აგრეთვე ღონისძიებანი კვალიფიციური მუშა-ძალით სატყეო მეურნეობათა დასაკომპლექტავად;

მ) განავოს და განკარგულებად იქონიოს საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს მთელი ქონება,—ყოველგვარი ხელშეკრულებისა და გარიგების დადებისა, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საკრედიტო დაწესებულებებში კრედიტის აღებისა და სასამართლოში სარჩელისა და პასუხისგების უფლებით.

4. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს უშუალო სადამინისტრაციო და სამეურნეო ხელმძღვანელობით მომქმედ საბჭოთა სატყეო მეურნეობების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) დაიცვან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები;

ბ) განახორციელონ უშუალოდ ცენტრალური სამმართველოს ღონისძიებანი ტყეების ბუნებრივი და ხელოვნური აღდგენისათვის, მელიორაციისათვის, მოწყობისათვის და არაპირდაპირი სარგებლობისათვის;

გ) აწარმოონ უშუალოდ სატყეო მეურნეობა;

დ) აწარმოონ ტყის კაფვის ფონდის აღნუსხვა, ტყის დამზადება, დამუშავება, გამოტანა, შენახვა და მზა-ხეტყის გაცემა;

ე) გადაამუშაონ მერქანი;

ვ) აწარმოონ ტყის პროდუქციის რეალიზაცია.

III. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველო, მისი ორგანოები და მათი მოქმედების წესი.

5. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველო, რომელიც ანხორციელებს ამა დებულების მე-8 მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს, არის სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი საწარმო.

6. ცენტრალური სამმართველოს, რომელიც მომქმედობს ამა დებულების საფუძველზე, აქვს იურიდიული პირის უფლებანი და იგი თავის ვალდებულებათათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ საკუთარი ქონებით, რომელზედაც მომქმედი კანონმდებლობის თანახმად შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. ცენტრალური სამმართველოს ვალებისათვის საერთო-სახელმწიფო ხაზინა პასუხს არ აგებს, ისე, როგორც არც ცენტრალური სამმართველო აგებს პასუხს სახელმწიფო ვალებისათვის.

შენიშვნა. ცენტრალური სამმართველო იძენს იურიდიული პირის უფლებას მას შემდეგ, რაც მას იმ საინვენტარო აწერილობით და საინვენტარო ბალანსით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გადაეცემა ამა დებულების მე-17 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული ქონება და სახსარი, და იმ მომენტიდან, რაც იგი რეგისტრირებულ იქნება სავაჭრო რეგისტრაციის დებულებაში გათვალისწინებული წესით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 57 №-ი, მუხ. 579).

7. საქართველოს სსრ ტყეებისა და სატყეო მეურნეობების მართვა-გამგებლობის ფუნქციებს ცენტრალური სამმართველო ანხორციელებს საქართველოს სსრ სატყეო კოდექსის შესაბამისად.

8. ცენტრალური სამმართველოს სავაჭრო-სამრეწველო მოქმედებაზე ვრცელდება ყველა მომქმედი კანონმდებლობა მრეწველობისა და ვაჭრობის შესახებ, აგრეთვე ყოველი სახის დაბეგვრა, რაც დაწესებულია სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედ სახელმწიფო საწარმოთათვის.

სავაჭრო ოპერაციების წარმოებისა, საქონლის გასხვისებისა და შეძენისა, საგასაცემო ფასებისა, კალკულაციისა, პროდუქციის დაკვეთების განწესებისა, სავაჭრო გარიგებათა დადებისა და სხვ. სფეროში ცენტრალური სამმართველო ექვემდებარება სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების 37-40 მუხლებით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი, მუხ. 392; 1928 წ. 55 №-ი, მუხ. 598; 1929 წ. მე-7 №-ი, მუხ. 65 და 76 №-ი, მუხ. 729) და საამისოდ მომქმედ სხვა კანონებით დადგენილ წესებს.

9. ცენტრალური სამმართველოს პასუხსაგები ხელმძღვანელობა დაეკისრება ცენტრალური სამმართველოს მმართველს, რომელიც ანხორციელებს ყველა უფლება-მოვალეობას, რაც დაკავშირებულია ამა დებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი ცენტრალური სამმართველოს ფუნქციების შესრულებასთან; იგი განაგებს სამმართველოს ყველა საქმეს, მის განკარგულებაშია მთელი ქონება, და ცენტრალური სამმართველოს სახელით იგი სდებს მისი გამგებლობის ფარგალში შემავალ ყველა ხელშეკრულებას და გარიგებას და აწარმოებს ყველა ოპერაციას.

ცენტრალური სამმართველოს მმართველის მოვალეობანი ზედმიწევნით განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

შენიშვნა. ცენტრალური სამმართველოს მმართველს ჰყავს მოადგილე, რომელიც მოქმედობს მმართველის ინსტრუქციის და უფლებამოსილობის

მიხედვით და რომელსაც, მმართველის არყოფნის დროს, აქვს ყველა მისი უფლება.

10. ცენტრალური სამმართველოს მმართველი და მისი მოადგილე მოვალენი არიან მიიღონ ყოველი ღონისძიება ამა დებულებით გათვალისწინებული ყველა მიზნისა და ამოცანის განხორციელებისათვის და გამოიჩინონ საჭირო ყაირათობა, მზრუნველობა და წინდახედულება; ისინი პასუხს აგებენ სადისციპლინო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის წესით როგორც მათთვის მინდობილი ქონების დაცვისათვის, ისე საქმის მუყაითად წაყვანისათვის, მომქმედი კანონების თანახმად.

IV. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს შედგენილობაში შემავალი საბჭოთა სატყეო მეურნეობებისა და დამხმარე საწარმოთა მმართველობის შესახებ.

11. საბჭოთა სატყეო მეურნეობანი არიან საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს საერთო მართვა-გამგებლობაში როგორც დამოუკიდებელი სადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულები და განახორციელებენ ამა დებულების მე-4 მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს ცენტრალური სამმართველოს განსაკუთრებული ინსტრუქციების თანახმად, რასაც ამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი.

12. სატყეო მეურნეობათა და ცენტრალური სამმართველოს ცალკეულ წარმოებით საწარმოთა უშუალო მართვა-გამგებლობა მიენდობა სატყეო მეურნეობათა გამგეებს და საწარმოთა დირექტორებს, რომელნიც დაინიშნებიან და დაითხოვებიან ამა დებულების მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტისა და მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის წესისამებრ; ეს გამგეები და დირექტორები მოქმედებენ ერთპიროვნობის საფუძველზე ინსტრუქციაში (მუხ. 11) აღნიშნული უფლებამოსილობის ფარგლებში და ცენტრალური სამმართველოს მიერ მიცემული რწმუნებულობის თანახმად.

13. სატყეო მეურნეობის გამგე და საწარმოს დირექტორი ხელმძღვანელობას უწევენ მთლად სატყეო მეურნეობისა და საწარმოს მოქმედებას და ოპერაციებს, განაგებენ მათთვის მინდობილ ქონებას და პასუხს აგებენ სადისციპლინო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის წესით ქონების დაცვისა და საქმის მუყაითად წაყვანისათვის, მომქმედი კანონების თანახმად.

ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული სატყეო-სამეურნეო და საწარმოო-საფინანსო გეგმის ფარგლებში სატყეო მეურნეობის გამგეს და საწარმოს დირექტორს აქვს სრული ოპერატიული დამოუკიდებლობა.

14. კერძოდ, სატყეო მეურნეობის გამგეს დაეკისრება:

ა) შეადგინოს საკონტროლო ციფრების საფუძველზე სატყეო მეურნეობის წლიური სატყეო-სამეურნეო და საწარმოო-საფინანსო გეგმები;

ბ) აწარმოოს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად სატყეო მეურნეობის ყველა დარგის სამუშაო და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მეურნეობის სავე სამრეწველო და დამხმარე საწარმოთ;

გ) შეადგინოს სატყეო მეურნეობის წლიური ანგარიში და ბალანსი;

დ) მიიღოს და დაითხოვოს მუშები და მოსამსახურეები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად; დაამყაროს სატყეო მეურნეობაში შინაგანრიგების წესები და შეასრულოს უშიშროების ტეხნიკისა და სანიტარიის წესები;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი სატყეო მეურნეობაში შრომის რაციონალიზაციისათვის და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის;

ვ) დააზღვევოს სატყეო მეურნეობის ქონება;

ზ) განახორციელოს სატყეო მეურნეობაში სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები;

თ) დასდოს, ცენტრალური სამმართველოს მიერ მიცემული რწმუნებულობის თანახმად, ხელშეკრულება და გარიგება, რაც გამომდინარეობს სატყეო მეურნეობის სამეურნეო და საწარმოო მოქმედებიდან;

ი) განავსოს სალარო და აწარმოოს ანგარიშები;

კ) გასწიოს წარმომადგენლობა სასამართლოში.

15. სხვაფრივ სატყეო მეურნეობათა გამგეებზე და ცენტრალური სამმართველოს საწარმოთა დირექტორებზე ვრცელდება სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების მე-IV კარში აღნიშნული წესები (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი, მუხ. 392; 1928 წ. 65 №-ი, მუხ. 598 და 1929 წ. მე-7 №-ი, მუხ. 65 და 76 №-ი, მუხ. 729).

V. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს სახსარი, ანგარიშგება და მოგების განაწილება.

16. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს სახსარს შეადგენს:

ა) საწესდებო კაპიტალი;

ბ) სამორტიზაციო კაპიტალი;

ბ) საწარმოს გაფართოების კაპიტალი;

დ) მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი;

ე) ტყის მცველთა და მილიციის დაპრემირების სპეციალური ფონდი.

საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს დამტკიცებით შეიძლება სხვა სპეციალური კაპიტალების შექმნაც.

17. ცენტრალური სამმართველოს საწესდებო კაპიტალი შეიქმნება:

ა) იმ შენობებისაგან, დამხმარე საწარმოებებისაგან, მანქანებისაგან, ინვენტარისაგან და სხვ., რაც სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების გამგებელ ორგანოებს ეკუთვნის, და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ტყის დამშაბდელი აპარატებისა და მისივე აღვილობრივი ორგანოების ქონებისა და კაპიტალებისაგან;

ბ) იმ სპეციალური სახსარისაგან, რაც საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს მოწყობის მომენტისათვის ხელთ ექნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ტყეების მმართველობის ხაზით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული უკუდაუბრუნებელი ასიგნებებისაგან.

18. საამორტიზაციო კაპიტალი, საწარმოს გაფართოების კაპიტალი და მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი შეიქმნება, შეინახება და დაიხარჯება სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების მე-VII კარში აღნიშნულ საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი, მუხ. 392; 1928 წ. 65 №-ი, მუხ. 598; 1929 წ. 7 №-ი, მუხ. 65 და 76 №-ი, მუხ. 729) და საამი-სოდ მომქმედი კანონებისა და წესების თანახმად.

19. ტყის მცველთა და მილიციის დაპრემირების სპეციალური ფონდი შეიქმნება „ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების შესახებ“ გამოცემული ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 19-ის დადგენილებით (ა/კსუსრ კან. კრ. 1926 წ. მე-13 №-ი, მუხ. 757; 1927 წ. მე-11 №-ი, მუხ. 136 და მე-19 №-ი, მუხ. 219 და 1929 წ. მე-4 №-ი, მუხ. 31) დაწესებული სატყეო კოდექსის დარღვევისათვის გადახდევინებული თანხებისაგან; ეს ფონდი ინახება და იხარჯება იმ ინსტრუქციის თანახმად, რასაც დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი—ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატებთან და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

20. სატყეო მეურნეობათა მიერ დამუშავებული ტყის საძირე ღირებულებიდან და აგრეთვე სატყეო მეურნეობათა მიერ ტყის გარეშე დამზადებულთაგან მიღებული სამორე სასყიდლიდან, რაც სახელმწიფო შემოსავალში გადაიკემა, საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს შემოსავლიდან ჩაირიცხება განსაზღვრული პროცენტი—ტყის ადმინისტრაციის შენახვაზე, ტყის მოწყობაზე, ტყის განახლებაზე, ტყის მელიორაციაზე, ტყის მანებლებთან ბრძოლაზე, ტყის დაცვაზე გასაწევი ხარჯებისა და სხვა არასაექსპლუატაციო ხასიათის ხარჯების დასაფარავად. ეს პროცენტი განისაზღვრება ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით და დამტკიცდება საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ.

ცენტრალური სამმართველოს მიერ დამზადებული ტყის საძირე ღირებულებისა და მის მიერ გადახდევინებული სამორე სასყიდლის დანარჩენი ნაწილი მიიქცევა სახელმწიფო შემოსავალში.

ტყეების არაპირდაპირი სარგებლობით მიღებული შემოსავალი მთლად ჩაირიცხება სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში.

აღნიშნული თანხების სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალში შეტანისა და სამორე სასყიდლის ანგარიშგასწორების წესი და ვადები განისაზღვრება ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით, რასაც იგი გამოსცემს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

21. სატყეო მეურნეობათა პროდუქციის რეალიზაციით და ცენტრალური სამმართველოს სხვა სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებით მიღებული მთელი თანხა შედის ცენტრალური სამმართველოს შემოსავალში.

22. ყოველ წელს, არა უგვიანეს სამი თვისა საოპერაციო წლის დამთავრებისას, — რაც ითვლება ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დე, — საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობის ცენტრალური სამმართველო წარუდ-

გენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს განსახილველად და დასამტკიცებლად, სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული სპეციალური წესების მიხედვით შედგენილ, თავისი სატყეო-სამეურნეო საწარმოო მოქმედების ანგარიშს, ბალანსს და მოგებისა და ზარალის ანგარიშს, აგრეთვე მოგების განაწილებისა და ზარალის დაფარვის პროექტს.

შენიშვნა. პირველი საოპერაციო წელიწადი ითვლება ცენტრალური სამმართველოს რეგისტრაციის მომენტიდან 1931 წ. სექტემბრის 30-დე.

23. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ამტკიცებს, კანონით დადგენილი წესის დაცვით, ანგარიშს, ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშს და ანაწილებს მოგებას სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების საფუძველების სრული შესაბამისობით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი, მუხ. 392; 1928 წ. 65 №-ი, მუხ. 598; 1929 წ. მე-7 №-ი, მუხ. 65 და 76 №-ი, მუხ. 729).

VI. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს ლიკვიდაცია.

24. საქართველოს სსრ საბჭოთა სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველო მოსპობს თავის მოქმედებას მხოლოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილების თანახმად იმ წესით და იმ ვადაზე, რასაც დაადგენს სახალხო კომისარიათა საბჭო, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების 56 მუხლის „ა“ პუნქტით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი, მუხ. 392; 1928 წ. 65 №-ი, მუხ. 598; 1929 წ. მე-7 №-ი, მუხ. 65 და 76 №-ი, მუხ. 729), როდესაც ლიკვიდაცია მოხდება განსაკუთრებული საერთო-საკავშირო კანონის თანახმად.

სენატრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

132. დადგენილება ც. ა. კ.

სამაზრო საგადასახადო კომისიების დაარსების შესახებ.

„სარეწო, საშემოსავლო და ზედმეტი მოგების გადასახადების გამო შეტანილ საჩივართა განხილვისათვის საოლქო (და მათი თანაბარი) საგადასახადო კომისიების დაარსების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1930 წ. იანვრის 17-ის დადგენილების მე-2 მუხლის შენიშვნის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 11) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სარეწაო, საშემოსავლო და ზედმეტი ნოგების გადასახადების სფეროში გადასახადთა ინსპექტორების მიერ გამოტანილ დადგენილებათა გამო შეტანილ საჩივართა განსახილველად, საქართველოს სსრ-ის იმ ადგილებში, სადაც აღმინისტრაციული დარაიონება ჩატარებული არ არის, სამაზრო საფინანსო განყოფილებებთან მოეწყოს სამაზრო საგადასახადო კომისიები შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, და წევრები: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე, იმავე განყოფილების საგადასახადო ქვეგანყოფილების გამგე და სათანადო გადასახადის გადამხდელთა სამსამი წარმომადგენელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 26.

ტფილისი—სასახლე.

133. დადგენილებათა ც. ა. კ.

საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის შესახებ.

იმ მიზნით, რათა აღმოფხვრილ იქნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრაქტიკა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნული კანონმდებლობის განსამართავად და შესავსებად ადგენს:

1. ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენის დროს სათანადო ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ მართოდ კანონმდებლობით საბჭოთა არჩევნების შესახებ, რომელიც გადაუხვევლად უნდა სრულდებოდეს როგორც არამშრომელთა და ექსპლოატატორულ ელემენტებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევისა, ისე მშრომელთათვის ასეთი უფლებების მიკუთვნების სფეროში.

2. საბჭოთა არჩევნების მომზადებისა და წარმოების პერიოდში საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიებს შეადგენენ მხოლოდ საარჩევნო კომისიები, რომლებიც გათვალისწინებული არიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ 1928 წ. ნოემბრის 21-ის თარიღით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-31 მუხლებით. აღნიშნული სიები დამტკიცებული უნდა იქნეს: იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო საბჭოები არსებობენ, სათანადო ქალაქის საბჭოს მიერ, ხოლო დანარჩენ ადგილებში სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (ზემო-სვანეთის მაზრაში — სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ).

საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიაში ამა თუ იმ მოქალაქის შეტანა მოხდება კუთვნილებისამებრ სათანადო ქალაქის საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით (ზემო-სვანეთის მაზრაში — სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით).

შენიშვნა. გარდა ამ მუხლში აღნიშნული ორგანოებისა არც ერთ სხვა ორგანიზაციას (საფაბრიკო-საქარხანო კომიტეტს, ადგილკომს, კოლმეურნობას, სახლის მმართველობას, ბრიგადას და სხვა) ნება არა აქვს ჩამოართვას მოქალაქეებს საარჩევნო უფლება.

3. უკეთუ მოქალაქემ საჩივარი შეიტანა საარჩევნო უფლების უკანონოდ ჩამორთმევაზე, სანამ ეს საჩივარი საბოლოოდ არ იქნება გადაწყვეტილი, მოქალაქის უფლება არ შეიძლება რითიმე შეზღუდულ იქნეს, გარდა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვისა.

4. ყველა აქამდე აღძრული საჩივარი საარჩევნო უფლების უკანონოდ ჩამორთმევაზე უნდა განხილულ იქნეს ყველა ინსტანციაში ორი თვის განმავლობაში.

5. წინადადება მიეცეს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ დააარსონ განსაკუთრებული საოლქო და სამაზრო კომისიები, რომელთაც დაევალებათ შეამოწმონ ადგილებზე საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიები, იმ მიზნით, რათა საარჩევნო უფლება დაუბრუნდეს იმათ, ვისაც იგი უმართებულოდ აქვს ჩამორთმეული. აღნიშნული კომისიები უნდა დაარსებულ იქნენ იმ წესითა და შემადგენლობით, რაც საქართველოს სსრ-ის საარჩევნო კანონმდებლობით არის შემოღებული შესაფერი საარჩევნო კომისიებისათვის.

შენიშვნა. იმ ოლქებში და მაზრებში, სადაც არჩევნების ჩასატარებლად დაარსებულია სათანადო საარჩევნო კომისიები, ამ მუხლში გათვალისწინებული მოვალეობა დაეკისრება აღნიშნულ საარჩევნო კომისიებს.

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააარსონ მათთან ამა დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნული წესისამებრ და იმავე მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის განსაკუთრებული კომისიები.

7. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების გადამსინჯავი კომისიები ვალდებული არიან ადგილობრივ გაეცნონ აღნიშნულ სიებს და ყველა იმ მასალებს, რაც ამ სიების შედგენას შეეხება, შეამოწმონ სიები სასოფლო და საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისაგან მიღებული ცნობებითა და საბუთებით, საჭირო შემთხვევებში — დაინტერესებულ პირთა და მოწმეთა დაკითხვით და სხვა. ამ მუშაობას კომისია შესაძლებელს ან უშუალოდ ან მის შემადგენლობიდან გამოყოფილი ქვეკომისიებისა და რწმუნებულების მეშვეობით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქვეკომისიებისა და რწმუნებულების დასკვნა საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შესახებ საბოლოოდ განხილულ იქნეს კომისიის პლენუმის მიერ.

8. დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან განსაკუთრებული კომისია 13 წევრის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს ხელმძღვანელობა გაუწიოს მე-5 და მე-6 მუხლებში აღნიშნული განსაკუთრებული კომისიების მუშაობას, აგრეთვე განიხილოს საჩივრები ამ კომისიების მოქმედების გამო.

9. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების გადამსინჯავემა განსაკუთრებულმა კომისიებმა თავისი მუშაობა უნდა დაამთავრონ 1930 წელს ივნისის 10-მდე.

10. განემარტოს ადგილობრივ ორგანოებს, რომ: ა) საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი, რაც მიმართულია კულაკური მეურნეობის შეზღუდვისაკენ სოფლად ან კულაკობის ლიკვიდაციისაკენ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში (სოფლიდან გადასახლება, ქონების კონფისკაცია და სხვ.), არ შეიძლება გავრცელდეს იმ პირებზე, ვისაც საარჩევნო უფლება წართმეული აქვს არა კულაკური მეურნეობის წარმოებისათვის, არამედ სხვა საფუძველზე; ბ) საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა წინააღმდეგ არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს უფლების ისეთი დამატებითი შეზღუდვა, რაც პირდაპირ კანონით არ არის გათვალისწინებული (სამკურნალო დახმარების მოსპობა, შვილების სკოლებიდან გამორიცხვა და სხვა); გ) საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა შვილებს, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი წინეთ მათ კმაყოფაზე იყვნენ, უნდა მიეცეს საარჩევნო უფლება, უკეთუ მათ მიუღწევიათ სრულწლოვანობისათვის 1925 წლიდან და ამჟამად დამოუკიდებელი ზოგად-სასარგებლო შრომით სცხოვრობენ.

11. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს პასუხისგებაში მისცენ და სასტიკი გადასახდელი შეუფარდონ იმ თანამდებობის პირებს, რომელნიც საარჩევნო კანონმდებლობას დაარღვევენ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 80 №-ში 1930 წ. აპრილის 9.

134. დადგენილება ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის სამდღიურის ჩატარების შესახებ.

ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად და მის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოთა მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და აღნიშნულ ორგანოთა მიზნების და იდეების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიას მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამდღიური 1930 წლის 20, 21 და 22 აპრილის „ლენინის სახელობის სამდღიური“-ს ლოზუნგით ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის (აპრილის 20—22) განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები კომისიის მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგვრის სახით აღნიშნული კომისიის სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სახანაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელზე ბილეთის 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩატარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. ბოლქვაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 6.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 85 №-ში 1930 წ. აპრილის 15.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

135. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ 1930 წ. მარტის 16-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

„კოლექტიურ მეურნეობათა და მათ წევრთა ახალი შეღავათების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 2-ის დადგენილების თანახმად („სსრკ-ის ც. ა. კ. იზვესტია“-ს 94-3941 №-ი 1930 წ. აპრილის 5-ისა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 55) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების მე-IV კარის „ე“ ლიტერს დაემატოს 54¹ და 54² მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„54¹. კოლექტიურ მეურნეობაში დაბეგრისაგან განთავისუფლდება ორი წლის განმავლობაში (1930-31 და 1931-32 საგადასახადო წლებში) მთლად განსაზოგადოებული ოთხფეხი საქონელი (ერთ. სას.-სამ. გადას. დებულ. 58¹ მუხ.)“

„54². ორი წლის განმავლობაში (1930-31 და 1931-32 საგადასახადო წლებში) დაბეგრისაგან განთავისუფლდება მთლად ის პროდუქტიული ოთხფეხი საქონელი, რაც კოლექტიური მეურნეობის წევრთა ინდივიდუალურ მფლობელობაშია (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 58² მუხ.)“

2. ზემოაღნიშნული დადგენილების იმავე კარის „ვ“ ლიტერს დაემატოს 63¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„63¹. ბოსტნების განსაზოგადოებული ფართობი როგორც საბოსტნე მეურნეობასა, ისე სხვა კოლექტიურ მეურნეობებში დაიბეგრება შემოსავლიანობის ერთი-ორად შემცირებულ ნორმების მიხედვით უწყებულ ადგილისათვის დაწესებულ ბოსტნების შემოსავლიანობის ნორმებთან შედარებით (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 65¹ მუხ. 1 ნაწ.).“

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების 63 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„63. მიწის ის ფართობი, რაზედაც ახლად გაშენებული ბოსტანია, განთავისუფლდება გადასახადისაგან: ა) განსაზოგადოებული ბოსტანი როგორც საბოსტნე, ისე სხვა კოლექტიურ მეურნეობაში—ორი წლის განმავლობაში; ბ) ინდივიდუალურ მეურნეობაში—ერთი წლის განმავლობაში (ერთ. სას.-სამ. გადასახ.

დებულ. 65¹ მუხლის მე-2 ნაწ. და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენ. 24 მუხ.)“.

II

„საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების 45 და 55 მუხლების რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„45. მოსავლიანობის გამადიდებელ ღონისძიებათა წასახალისებლად დაწესებულია გადასახადის 10%-იანი მონაკლები კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათათვის; უკეთეს კოლექტიური მეურნეობა ან, სასოფლო ყრილობის დადგენილებით, ინდივიდუალური მეურნეობანი მთელი სოფლისა განახორციელებენ აგრომინიმუმს, ე. ი. უმარტივეს ღონისძიებათა მინიმუმს მოსავლიანობის გასადიდებლად (წმინდა ჯიშის თესლით დათესვა, ყოველგვარი თესლის გაწმენდა, დახარისხება და გაწამლვა, მწკრივად დათესვა, ბრძოლა მავნებლებთან და სარეველა მცენარეებთან, ადრეული ნასვენნი, დაკავებული ნასვენნი, მძრალი ანეული, გვალვიან რაიონებში თოვლის დამპერჯოლიანი ნასვენნი, ზამთრის ხნულში საქონლის ძოვების მოსპობა, მწვანე სასუქის გამოყენება, საირიგაციო სისტემის თავის დროზე გაწმენდა და სათანადოდ შენახვა, სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში მორწყვის წარმოება ნორმების მიხედვით და დადგენილ ვადაზე, ნაკელის სასუქის გამოყენება, ტკილით გაპატივება).

იმ ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელმაც მოსავლიანობის გადიდებისათვის განახორციელა, არა მთელ სოფელთან ერთად, არამედ ცალკე, უმარტივეს ღონისძიებათა მინიმუმი (აგრომინიმუმი), გადასახადი შეუმცირდება 5%-ის რაოდენობით.

ღონისძიებათა ნუსხა, რაც აღნიშნული შეღავათის უფლებას იძლევა, ცალკე რაიონებისათვის დაწესდება საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ (აფხაზეთის სსრ-ში და აჭარისტანის ავტ. სსრ-ში—ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ) და გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის. ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათათვის დაწესდება სხვადასხვა ნუსხა—კოლექტიურ მეურნეობის დონის უფრო მეტად ამალლების აუცილებლობის მიხედვით (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებ. 50 მუხ. და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9 თარიღისა და 227 №-ის დადგ. 20 მუხლი)“.

„55. კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობას მიეცემა გადასახადის 10%-იანი შეღავათი, უკეთეს კოლექტიური მეურნეობა ან, სასოფლო ყრილობის დადგენილებით, ინდივიდუალური მეურნეობანი მთელი სოფლისა ერთობლივ განახორციელებენ ზომინიმუმს, ე. ი. უმარტივეს ღონისძიებათა მინიმუმს მეცხოველეობის გასაუმჯობესებლად (საქონლის სათანადო კვება და მოვლა, დამატებით კვება ზაფხულობით, საზოგადო საგრილობელი პუნქტების მოწყობა, მონარდი საქონლის სათანადო აღზრდა, საქონლის გამოკვების საქმის საზოგადოებრივად მოწყობა, სამელიორაცია მუშაობის წარმოება სათიბებისა და ნახირის



საძოვებელი ადგილების გასაუმჯობესებლად, ნათელი და მოხერხებული სადგომების მოწყობა საქონლისათვის).

იმ ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელმაც მეცხოველეობის გაუმჯობესებისათვის განახორციელა, არა მთელ სოფელთან ერთად, არამედ ცალკე, უმარტივეს ღონისძიებათა მინიმუმი (ზოომინიმუმი), გადასახადი შეუმცირდება 5⁰/₆-ის რაოდენობით.

აღნიშნულ ღონისძიებათა ნუსხა განისაზღვრება ამა დადგენილების 45 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ (ერთ. სას.-სამ. ვად. დებ.59 მუხ. და ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 20 მუხლი)“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 77 №-ში 1930 წ. აპრილის 12.

136. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

„სპირტის სასმელების ვაჭრობის შეზღუდვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-6¹ მუხლის დამატების შესახებ.

„ ა/კსფსრ-ის რკინის გზების ბუფეტებში და რკინის გზის მახლობლად სპირტის სასმელების გაყიდვის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილების („ზარია ვასტოკა“-ს 76 №-ი, 1930 წ. მარტის 24-ისა) თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილებას „სპირტის სასმელების ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 231) დაემატოს მე-6¹ მუხლი შენიშვნითურთ—შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 6¹. აიკრძალოს მაგარი სასმელების გაყიდვა, გარდა ღვინისა სიმაგრით 14 გრადუსამდე და ლუდისა, რკინის გზების მახლობლად მდებარე ყველა სავაჭროში.

შენიშვნა. იმ რაიონებს, სადაც, ამა მუხლის თანახმად, იკრძალება მაგარი სასმელების გაყიდვა, განსაზღვრავენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ან საქალაქო საბჭოები, კუთვნილებისამებრ, ადგილობრივი პირობების მიხედვით“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 16
ტფილისი—სასახლე.

137. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების უფლების თაობაზე მოწმომების მიცემის წესის შესახებ.

„ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისა და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ 64) მე-2 მუხლის შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოფილ წითელგვარდიელებსა და წითელპარტიზანებს, აგრეთვე მათ ოჯახებს მოწმობებს იმ შეღავათების უფლების თაობაზე, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებით „ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების და მათი ოჯახის შეღავათების შესახებ“ (სსრკ. კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 64) მისცემენ საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტები ქვემოთდევნო მუხლებში გათვალისწინებული წესის მიხედვით.

2. განცხადებას შეღავათების უფლების თაობაზე მოწმობის მიცემის შესახებ დაინტერესებული პირი შეიტანს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც უშუალოდ საოლქო აღმასრულებელ კომიტეტში, ისე სათანადო საქალაქო ან სასოფლო საბჭოს მეშვეობით.

3. იმ განცხადებაში, რასაც ყოფილი წითელგვარდიელი და წითელპარტიზანი პირადათ შეიტანს, აღნიშნულ უნდა იყოს: ა) სახელი, მამის სახელი და გვარი; ბ) საცხოვრებელი ადგილი; გ) სოციალური მდგომარეობა; დ) ჩამორთმეული ხომ არა აქვს საბჭოთა არჩევნების უფლება; ე) აღკვეთილი ხომ არა აქვს თავისუფლება, აყრილი ხომ არა აქვს პოლიტიკური უფლებები, გადასახლებული ან გაგზავნილი ხომ არ არის სასამართლო თუ ადმინისტრატიული წე-

სით; ვ) როდის, სად და წითელი გვარდიის რომელ დრუჟინასა და რაზმში ან წითელპარტიზანების რომელ რაზმში იმყოფებოდა და რა მოვალეობას ასრულებდა; ზ) რა დოკუმენტები აქვს სამსახურის თაობაზე და თ) ვის შეუძლიან დაამოწმოს მისი სამსახური წითელგვარდიაში და წითელპარტიზანების რაზმში, უკეთუ სააღმისო დოკუმენტები არა აქვს.

4. იმ განცხადებაში, რასაც შეიტანს გარდაცვალებული წითელგვარდიელისა თუ წითელპარტიზანის ოჯახის წევრი, ვარდა წინა მუხლში გათვალისწინებული ცნობებისა გარდაცვალებულის შესახებ, აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი: ა) სახელი, მამის სახელი და გვარი; ბ) საცხოვრებელი ადგილი; გ) ურთიერთობა გარდაცვალებული წითელგვარდიელისადმი ან წითელპარტიზანისადმი; დ) სოციალური მდგომარეობა; ე) ჩამორთმეული ხომ არა აქვს საბჭოთა არჩევნების უფლება; ე) აღკვეთილი ხომ არა აქვს თავისუფლება, აყრილი ხომ არა აქვს პოლიტიკური უფლებები, გადასახლებული ან გაგზავნილი ხომ არ არის სასამართლო თუ ადმინისტრატიული წესით.

5. განცხადებას უნდა დაერთოს მასში აღნიშნული ცნობების დამამტკიცებელი სათანადო დოკუმენტები.

6. განცხადება ყველა თანდართული დოკუმენტით განსახილველად და განცხადებაში აღნიშნული ცნობები შესამოწმებლად გადაეცემა სპეციალურ კომისიას, რომელიც მოწყობილი უნდა იქნეს, საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად, შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი და წევრები—საოლქო (სამაზრო) სამხედრო კომისარიატისა, პროფესიონალურ კავშირთა საოლქო (სამაზრო) საკავშირთაშორისო შენაერთისა, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოსი და ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა ორგანიზაციის (სადაც იგი არსებობს) თითო წარმომადგენელი.

7. კომისიის დადგენილება განმცხადებელთა შეღავათების უფლების აღიარების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რომლის დადგენილებაც საბოლოოა.

8. ყოფილ წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანებისათვის, აგრეთვე მათი ოჯახებისათვის, ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე მიცემული ყველა მოწმობა ძალაში რჩება შეღავათების მისაღებად ამა წლის აგვისტოს 31-დღ. ამ ვადის შემდეგ შეღავათების მიღებისათვის ყველა წინადაცემული მოწმობა განახლებულ უნდა იქნეს ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 16

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 104 №-ში 1930 წ. მაისის 7.

138. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული გამომგონებლობის დამხმარე ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული გამომგონებლობის დამხმარე ბიუროს შესახებ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 16.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული გამომგონებლობის დამხმარე ბიუროს შესახებ.

1. გამომგონებლობის დამხმარე ბიურო მოეწყობა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო-საადმინისტრაციო განყოფილებასთან და დაექვემდებარება აღნიშნული განყოფილების გამგეს.

2. გამომგონებლობის დამხმარე ბიუროში შედიან საორგანიზაციო-საადმინისტრაციო განყოფილების გამგე—ბიუროს თავმჯდომარედ, სამკურნალო და საინტარულ-ეპიდემიოლოგიურ განყოფილებათა, მედსანშრომის პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლები და ბიუროს მდივანი.

3. გამომგონებლობის დამხმარე ბიუროს მიზნად აქვს:

ა) გამოარკვიოს გამოგონების გამაჯანსაღებელი, ეკონომიური და ტექნიკური მნიშვნელობა;

ბ) შეარჩიოს ტექნიკური, ეკონომიური და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოგონებანი;

გ) აღმოუჩინოს გამომგონებლებს საჭირო შემთხვევაში მეცნიერული და ტექნიკური დახმარება, როგორცაა: ნახაზების შესრულება, მუშაობის და ცდების მოწყობა, მოდელების დამზადება და სხვ.;

დ) დაეხმაროს გამომგონებლებს პატენტის მიღებაში როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ და აღმოუჩინოს მათ უფლებრივი ხასიათის დახმარება გამოგონების ექსპლუატაციის თაობაზე ხელშეკრულობის დებულების დროს;

ე) გაუწიოს მეთვალყურეობა და აღმოუჩინოს დახმარება უკვე მოწონებულ და ღირებულების მქონედ ცნობილ გამოგონებას მისი რეალიზაციისა და ფართო ხმარებაში შემოღებისათვის;

ვ) მისცეს პრემია გამომგონებლებს განსაკუთრებული ღირებულების მჭონე და სასარგებლო გამოგონებისათვის საამისოდ არსებული კანონებისა და წესების თანახმად.

4. გამოგონების ტექნიკური რეალიზაციის უზრუნველსაყოფად გამომგონებელს გაეწევა დახმარება უსასყიდლოდ კონსულტაციისა, ნახაზებისა და მოდელების დამზადების სახით და სხვ.

5. გამომგონებლობის დამხმარე ბიურო გამოგონების შეფასებისა და რეალიზაციის საქმეში გამოიყენებს სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, სხვადასხვა ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებს, როგორც არიან: ინჟინერები, ტექნიკოსები და სხვანი, რომელთაც თავიანთი ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით შეუძლიან დახმარება აღმოუჩინონ ბიუროს გამოგონებათა შეფასებაში და რეალიზაციაში.

6. გამომგონებლობის დამხმარე ბიუროს შესანახი კრედიტები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით. სახსართა შემოსვლისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით.

7. გამომგონებლობის დამხმარე ბიუროსათვის გადაცემული ფონდები შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

139. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

„ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლობის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად (კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 16.
ტფილისი—სასახლე.

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

„ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების შეფარდებისათვის.

1. საქალაქო საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდენტები და უყოფნებლივ უნდა შეუდგენ „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების (კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) განხორციელებას შემდეგ საფუძველზე:

არამშრომელი კატეგორიის პირთა გამოსახლება.

2. მუნიციპალიზებულ და ნაციონალიზებულ სახლებიდან გამოსახლებულ უნდა იქნენ ის პირნი, რომელთა არსებობის წყაროც არის ვაჭრობისა, გაყიდვა-მიწოდებისა, საშუამავლო და სხვა ოპერაციების წარმოება და აგრეთვე ფულადი კაპიტალების ქონა, უკეთეს ეს პირნი 1928-29 ან 1929-30 წლებში დაბევრილ იყვნენ საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგების მიხედვით და უკეთეს საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგების მიხედვით დასაბეგრი მათი შემოსავლის თანხა აღემატებოდა 3.000 მან. წელიწადში.

შენიშვნა 1. საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგების მიხედვით დასაბეგრი პირი, რომლის დასაბეგრი შემოსავალი 1928-29 წ. 3.000 მან. აღემატებოდა, არ განთავისუფლდება გამოსახლებისაგან იმ შემთხვევაშიაც, თუნდაც მისი დასაბეგრი შემოსავალი 1928-29 წლის შემდეგ ამა მუხლში აღნიშნულ ნორმაზე ნაკლები გახდეს.

შენიშვნა 2. გამოსახლება არა ვრცელდება გამოსასახლებელი პირის ოჯახის ისეთ წევრზე, რომელსაც აქვს შემოსავლის შრომის წყარო და თუმცა გამოსასახლებულ პირთან ერთად ცხოვრობს, მაგრამ დამოუკიდებლად იხდის მის მიერ დაქვრივლი საცხოვრებელი სივრცის ქირას; აგრეთვე არა ვრცელდება გამოსასახლებელ პირთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ისეთ წევრზე, რომელსაც თუმცა საცხოვრებელი სივრცე დამოუკიდებლად არ უქირავეს, მაგრამ აქვს სამუშაო ხელფასი დაქირავებით მუშაობისათვის და პროფესიონალური კავშირის წევრია.

შენიშვნა 3. საარჩევნო უფლების აყრა თავისთავად საფუძველი არ არის გამოსახლებისათვის, უკეთეს საარჩევნო უფლება-აყრილი პირი არ უდგება ამა ინსტრუქციის მე-2 მუხლში აღნიშნულ ნიშნებს.

3. გამოსახლებულ არ უნდა იქნეს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია „ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიის პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მკვლობელთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილებით (კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) და ამა ინსტრუქციით, შინამრეწველი და ხელოსანი, აგრეთვე ის პირი, რომელიც თუმცა 1928/29 და 1929/30 წლებში, თავისი მოსაქმეობის მიხედვით, დაბეგრულ იყო საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგების თანახმად, მაგრამ რომელმაც 1929 წ. დეკემბრის 15-დე გამოიცვალა მოსაქმეობა და ამ ქამად სამსახურშია სახელმწიფო დაწესებულებაში და მასთან გათანაბრებულ დაწესებულებაში, ან წევრია კოოპერატიულ შენაერთში შემავალი სარეწაო არტელისა.

შენიშვნა 1. არ უნდა იქნეს გამოსახლებული აგრეთვე ისეთი პირი, რომელმაც მოსაქმეობა თუმცა 1929 წ. დეკემბრის 15-ის შემდეგ გამოიცვალა, მაგრამ რომელიც გამოსახლების მომენტისათვის წევრია პროფესიონალური კავშირისა.

შენიშვნა 2. გამოსახლებულ არ უნდა იქნეს კერძო სამშენებლო კონტორის პატრონი, ის პირი, რომელიც ნარდად მუშაობის ხელშეკრულების მიხედვით აწარმოებს მშენებლობას ან საშენ მასალას, საგამომცემლო საწარმოს პატრონი, სამრეწველო და სავაჭრო-სამრეწველო ხასიათის კერძო სააქციო საზოგადოების გამგეობის წევრი, მეეტლე-მესახიდე, აგრეთვე მუნიციპალიზებული სახლის მოიჯარე, რომელიც დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგების მიხედვით, ხოლო რომელიც ცხოვრობს მის მიერ იჯარით აღებულ სახლში.

შენიშვნა 3. გამოსახლებულ არ უნდა იქნეს ის პირი, რომელიც წინადად არამშრომელი ელემენტი იყო, ხოლო ამ ქამად მშრომელის რჩენაზეა და მის საცხოვრებელ სივრცეზე ცხოვრობს.

შენიშვნა 4. არამშრომელი კატეგორიის ის პირი, რომელიც მაღაზიასთან არსებულ დამხმარე ხასიათის სადგომში სცხოვრობს, გამოსახლებულ არ უნდა იქნეს.

4. ადგილობრივი საბჭოების საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან გაუგზავნონ კომუნალურ განყოფილებებს, არა უგვიანეს ა. წ. მაისისა, იმ პირთა სიები, რომელნიც 1928-29 და 1929-30 წ. დაბეგრული არიან საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგების მიხედვით და რომელთა შემოსავალი 3.000 მან. აღემატება.

კომუნალური განყოფილებანი ამოშლიან სიებიდან იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობენ კერძო მფლობელობის სახლებში, აღნაგობის უფლების მიხედვით აგებულ სახლებში და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც გამოსახლებულ არ უნდა იქნენ ამა ინსტრუქციის თანახმად.

5. გამოსასახლებელ პირს კომუნალური მეურნეობის ორგანომ უნდა ჩააბაროს სახლის სამოურაოს მეშვეობით შეტყობინება გამოსახლების თაობაზე და თან გააფრთხილოს, რომ იგი გამოსახლებულ იქნება ადმინისტრაციული წესით, უკეთუ არ გაანთავისუფლებს სადგომს ერთი თვის განმავლობაში შეტყობინების ჩაბარების დღიდან.

შენიშვნა. სახლის სამოურაომ უნდა აუნაზღაუროს გამოსასახლებელ პირს მისგან მიღებული და კაპიტალურ რემონტზე დახარჯული ავანსის თუ თანხის სათანადო ნაწილი იმ დროის შესაბამისად, რაც მას აღარ მოუხდება იცხოვროს ამ სახლში განსაზღვრულ ვადამდე.

6. ყველა იმ სადგომში, რაც განთავისუფლდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების წესისამებრ, ჩასახლებულ უნდა იქნენ მართოდენ მშრომელნი; ამასთანავე, პირველ რიგში სადგომები მიეცემა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებს.

ყოფილ სახლისმფლობელთა გამოსახლება.

7. მუნიციპალიზებული და ნაციონალიზებული სახლის სამოურაოები მოვალენი არიან შეატყობინონ, არა უგვიანეს 1930 წ. მაისისა, საქალაქო საბჭოს ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, უკეთუ ამა თუ იმ სახლში ცხოვრობს ამ სახლის ყოფილი მფლობელი, შემდეგი ცნობები: ა) სახლის ფართობი; ბ) ყოფილი მფლობელის სოციალური მდგომარეობა რევოლიუციამდე და ამ ჯამად; გ) მოსაქმეობა და შემოსავლის ძირითადი წყარო; დ) ოჯახის შედგენილობა და ოჯახის წევრთა მოსაქმეობა; ე) ყოფილი მფლობელის დახასიათება და მისი გავლენა სახლის გამგებლობაზე და ექსპლოატაციაზე; ვ) სახლის სამოურაოს აზრი გამოსახლების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ცნობები, შეძლებისადამიხედვით, უნდა ემყარებოდეს დოკუმენტებს.

8. საქალაქო საბჭოები და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები საბინაო-კომუნალური და ადმინისტრაციულ-იურიდიული სექციების მეშვეობით, შეამოწმებენ სახლის სამოურაოების მიერ შეტყობინებულ ცნობების სისწორეს; ამასთანავე, პასუხისგებაში მისცემენ სახლის სამოურაოთ სისხლის სამართლის 126 მუხ. მიხედვით, უკეთუ ისინი წინასწარი შეცნობით დაამახინჯებენ ან დამალავენ ფაქტურ ცნობებს.

9. საქალაქო საბჭოებისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდენტები შეადგენენ, არა უგვიანეს ა. წ. იენისისა, იმ ყოფილ სახლთმფლობელთა სიებს, რომელნიც გამოსახლებულ უნდა იქნენ იმათისეული სახლებიდან, რისთვისაც სახელმძღვანელოდ მიიღებენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სასაბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილებასა და ამა ინსტრუქციას.

სიების შედგენის დროს სიებში შეიძლება შეტანილ იქნენ იმ კატეგორიების პირნი, რომელნიც განთავისუფლებულ არიან გამოსახლებისაგან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების მე-4 მუხ. თანახმად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების მე-4 მუხ. აღნიშნული ყოფილ სახლთმფლობელთა კატეგორიები შეიძლება გამოსახლებულ იქნენ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თანახმად იმავე დადგენილების მე-6 მუხლისა, როდესაც გამორკვეული იქნება, რომ ისინი თავიანთი მოქმედებით აბრკოლებენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა განხორციელებას საბინაო პოლიტიკისა და ბინათმშენებლობის სფეროში. ასეთ შემთხვევაში დადგენილება გამოსახლების თაობაზე უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

10. იმ ყოფილ სახლთმფლობელთა შვილების, რომელნიც გამოსახლებულ უნდა იქნენ, შეეფარდებათ ამა ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 შენიშვნაში აღნიშნული წესები.

11. ყოფილ სახლთმფლობელთათვის წინასწარ შეტყობინება გამოსახლების შესახებ და გამოსახლების ვადების დადგენა მოხდება ამა ინსტრუქციის მე-5 მუხლის მიხედვით.

12. უკეთეს განზრახულია იმ ყოფილ სახლთმფლობელთა გამოსახლება, რომელნიც ეკუთვნიან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხ. დანართის მე-5 მუხლში ჩამოთვლილ პირთა რიცხვს, მათი გამოსახლება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ გამოსახლებულთ ქალაქის ფარგლებში მიეცეთ საცხოვრებლად ვარგისი საცხოვრებელი სივრცე და სატრანსპორტო საშუალებანი ან გადაზიდვის სასყიდელი. აღნიშნული კატეგორიების პირთათვის საცხოვრებელი სივრცის მიჩენა შეადგენს საქალაქო საბჭოს და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მოვალეობას—როდესაც გამოსახლება მუნიციპალიტეტულ სახლიდან სწარმოებს, და სათანადო საწარმოს და დაწესებულების მოვალეობას—როდესაც გამოსახლება მათ გამგებლობაში ქონებული ნაციონალიზებული სახლიდან სწარმოებს. საცხოვრებელი სივრცის მიცემაზე აღნიშნულ პირთა გამოსახლება არ შეიძლება.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ პირთ უნდა მიეცეს მათ მიერ დაქვრილი სადგომების გაცვლა-გამოცვლის უფლება კომუნალური ორგანოების ნებართვით.

13. განთავისუფლებულ სადგომებში ჩასახლება სწარმოებს ამა ინსტრუქციის მე-6 მუხ. აღნიშნული წესისამებრ.



14. ამა ინსტრუქციის განხორციელება დამთავრებულ უნდა იქნეს, შეძლებისადამიხედვით, 1930 წ. აგვისტოს 31-თვის.

140. დადგენილება ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ ქალაქებში მუშათა საბინაო მშენებლობის წახალისების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 11-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

რადგანაც ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს 1930 წ. თებერვლის 18-ის თარიღით დადგენილება „სამუშე ბინათმშენებლობის საკიროებათა შეღავათების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 48), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 11-ის დადგენილება „საქართველოს ქალაქებში მუშათა საბინაო მშენებლობის წახალისების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 144) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 16.
ტფილისი—სასახლე.

141. დადგენილება ს. კ. ს.

მუშათა გამომგონებლობის საკითხების ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ.

მუშათა გამომგონებლობის საკითხების ხელმძღვანელობის საქმის გასაერთიანებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს.

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან გამომგონებათა რეალიზაციისათვის არსებულ ცენტრალურ ბიუროს გაუწიის ხელმძღვანელობა მუშათა გამომგონებლობის საკითხებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საწარმოს ხაზით, სარკინისგზო ტრანსპორტის გამოკლებით.

2. გამოგონებათა რეალიზაციის ცენტრალური ბიურო ინახება საწარმოთა მიერ საამისოდ გადადებული სახსარით, რომლის რაოდენობაც თვითეული საწარმოსათვის განისაზღვრება ამ საწარმოს ხელმძღვანელისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შეთანხმებით.

3. ამა დადგენილების განხორციელებისათვის ინტერუქციის გამოცემა და გამოგონებათა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროს შესანახად საჭირო სახსარის შემოსავლისა და დახარჯვის წესის დამყარება დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 26
ტფილისი—სასახლე.

142. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

გლეხების პიერ ბაზრებში თავიანთი მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შემავიწროებელ გარემოებათა ასაცილებელი ღონისძიების შესახებ.

რათა საეგზეთ და ზედმიწევნით განხორციელებულ იქნეს მთავრობის დირექტივები საგლეხო მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისათვის ბაზრების გახსნისა და გლეხების მიერ ამ პროდუქციის თავისუფალი გაყიდვის ყოველგვარ დამაბრკოლებელ გარემოებათა თავიდან აცილების შესახებ,—საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო, იღებს რა სახელმძღვანელოდ ა/კსფსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1930 წ. მაისის 14-ის თარიღისა და 242 №-ის დადგენილებას „იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც თავიდან აცილებულ იქნება შემავიწროებელი გარემოებანი გლეხების მიერ თავიანთი მეურნეობის პროდუქციის ბაზრებში თავისუფლად გაყიდვისათვის“ („ზარია ვოსტოკა“-ს 126/2394 №-ი, ა/წ. მაისის 15-ისა),—ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და სასოფლო საბჭოს ფართოდ აუწყონ მოსახლეობას—სათანადო განცხადებების ქუჩებში, ბაზრებში, მოედნებზე, სასოფლო საბჭოების და მთავრობის სხვა დაწესებულებების შენობებზე გაკვრით, აგრეთვე მოქალაქეთა საერთო კრებებზე (ყრილობებზე) გამოცხადებით:

ა) რომ თავისუფლად შეიძლება გადაზიდვა რკინის გზებით და წყლის ტრანსპორტით ხელბარგის სახით ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-

ტისა (როგორც არის: თევზი, ფრინველი, ბურღული, ფქვილი, პური მარცვლად და გამომცხვარი, ზეთი და კარაქი, ყველი, კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები, თაფლი, ლობიო, ბოსტნეული, სხვათა შორის კარტოფილი, ხილეული, ღვინო და აგრეთვე ცხოველის პროდუქტები და ხორცეული პროდუქტები) იმ პირობით, რომ დაკულ იქნეს არსებული წესები საქონლის დაკვლის შესახებ, და რომ გადასაზიდი პროდუქტის რაოდენობა არ აღემატებოდეს რკინის გზის მგზავრთათვის დაწესებულ ნორმას, ე. ი. 35 კილოგრამს თვითეულ მგზავრზე, ბრინჯის გამოკლებით, რის გადაზიდვაც ნებადართულია არა უმეტეს 10 კილოგრ. რაოდენობისა თვითეულ მგზავრზე;

ბ) რომ გლეხები განთავისუფლებულ არიან:

1) ერთდროული ერთგზობითი გამოსაღებისაგან ფეხზე ვაჭრობისათვის, როგორც ხელზე ტარებით, თავებით, კალათით და სხვ., ისე ცალობითი ვაჭრობისათვის ურმით, ფურგონით, საზიდავით და სხვ., აგრეთვე იმავე გამოსაღებისაგან გასაყიდად მორეკილ საქონელზე;

2) იმ ადგილების სასყიდლისაგან, სადაც გლეხები აწარმოებენ თავიანთი მეურნეობის პროდუქციის გაყიდვას;

3) ქალაქში მოსული ურმისა, ფურგონისა და სხვა საზიდავის სასყიდლისაგან.

2. წინადადება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს, განუმარტონ გლეხთა მოსახლეობას, რომ დამზადებულ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონტრაქტაციის შესახებ ძალაში რჩებიან და რომ ამ ხელშეკრულებებით ნაკისრებ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ ხელშეკრულებებით და კანონით გათვალისწინებულ შედეგს.

3. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მოსპონ იმ ადგილობრივი ერთგზობითი გამოსაღებისა და იმ სასყიდლის გადახდევინება, რასაც ისინი ახდევინებდნენ გლეხებს ყოველგვარი ფეხზე ვაჭრობისათვის და მათ მიერ ბაზრებსა და მოედნებზე ამ ვაჭრობის საწარმოებლად დაჭერილი ადგილებისათვის და რაც გაუქმებულია ა/კსფსრ სახალხო კომისარათა საბჭოს 1930 წ. მაისის 14-ის თარიღისა და 242 №-ის დადგენილებით.

4. მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) ერთად, გამოსცეს სამი დღის ვადაზე და მიაწოდოს ადგილობრივ ორგანოებს სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

5. დაევალოს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მეთვალყურეობა გაუწიონ ამა დადგენილების სისწორით განხორციელებას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკის პროკურორმა უნდა დაამყარონ, თავიანთი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, მეთვალყურეობა ამა დადგენილების შესრულებისათვის და მისცენ პასუხისგებაში სადისკიპლინო და სისხლის სამართლის წესით ის თანამდებობის პირნი, რომელნიც ამ დადგენილებას დაარღვევენ.

6. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ სასწრაფო ღონისძიებანი ამა დადგენილების განხორციელებისათვის აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. ვ. ივანოვ-კავკაზსკი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ 112 №-ში 1930 წ. მაისის 16.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

მიმდინარე 1930 წელს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“, როგორც საერთო წესი, ამიერკავკასიის ფარგლებში იგზავნება საბარათო (უმისამართო) სისტემით: „კანონთა კრებულის“ ნომრები ტფილისის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მეშვეობით ეგზავნებათ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებათ, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საექსპედიციო ბარათები; ამ ბარათების მიხედვით „კანონთა კრებული“ ურიგდებათ ხელისმომწერლებს.

ყოველი შემთხვევა, როდესაც „კანონთა კრებული“ სწორედ არ იქნება მიწვდილი, უნდა ეცნობოს ჯერ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებას, ხოლო, თუ განცხადება არ იქნება დაკმაყოფილებული, — „კანონთა კრებულის“ გამომცემლობას, მისამართი: ტფილისი—სასახლე.